# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 45 პარასკევი, 26 თებერვალი 1910 წ. № 45

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ხულ არ ინახება ინახება ერთის თვით მხოლოთ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 20 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „Droeba".

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



შაბათს, 27 თებერვალს,

ბარბარე გაბრიელის ასულის გაბაშვილის

გარდაცვალების ნახევარი წლის თავზე, ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი. წირვა დაიწყება დილის 10 ნახ. ს., პანაშვიდი—12 საათზე, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის შვილები. (1—161—1)

წარმოდგენა № 38. ქართული თეატრი წარმოდგენა № 38.

პარასკევს, 26 თებერვალს, 1910 წელს

ბენეფისი კ. მესხისა

ვლ. ალექსი-მესხიშვილის და მთელი დასის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ახალი პიესები.

I

ხალხის სიკეთე

3 მოქმედებად თ. გეცელლისა. თარგ. აბაკელიასი.

სოლონის როლს შეასრულებს ვლ. ალ.-მესხიშვილი ეზოპისა კ. მესხი.

II.

სიკვდილი ნაპოლეონისა

ერთ მოქმედებად, თარგ. აბაკელიასი.

ნაპოლეონის როლს შეასრულებს კ. მესხი.

ფასები ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

წარმოდგენა 39 ქართული თეატრი წარმოდგენა 39

შაბათს, 27 თებერვალს, 1910 წ. ბენეფისი

ნიკო გვარაძისა და სოსო ივანიძისა

ქართულ დრამატ. საზოგადოების დასის მიერ ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ლეონიდ ანდრეევის ცნობილი პიესა:

დღენი ჩვენი ცხოვრებისა

პიესა 4 მოქ. თარგ. ელიოზიშვილისა.

მონაწილეობენ: ქ-ნნი მ. მდივანი, ნ. ჯავახიშვილი, მ. ნებიერიძე, პ. შოთაძე; ბ-ნნი ვლ. ალექსი-მესხიშვილი, ანიძე, ი. გრიშაშვილი, ივანიძე, ნ. გვარაძე, ი. ქივიძე, დ. მგალობლიშვილი, ი. მურვანიშვილი, ვ. პატარაძე, შ. საფაროვი.

მოწაფეებს შესვლა არ შეუძლიანთ. რეჟისორი ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილი

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. რეჟისორის თანაშემწე ვ. ურუშაძე.

ფასები ჩვეულებრივია.

ქართველ სტუდენტობის საყურადღებოდ

პეტერბურგის უნივერსიტეტში არსებული

ქართული სამეცნიერო წრე შეუდგა ქართველ სტუდენტობის ყოფა-ცხოვრების გამოსარკვევად ანკეტის მოხდენას

ამ აზრით წრემ დაბეჭდა საგანგებო საანკეტო ფურცელი, რომლის საშუალებითაც უნდა მოხდეს ანკეტა. ეხლა საჭიროა ამ ფურცლის დარიგება. ამისათვის წრე უმორჩილესად სთხოვს ყველა ქალაქის (როგორც რუსეთში ისე საზღვარ-გარეთ) ქართველ სტუდენტთა ორგანიზაციებს (სათვისტომოებს, სამეცნიერო წრეებს და სხვ...), ან თუ ასეთები არ არსებობენ, იმ შემთხვევაში კერძო პირებს, რაც შეიძლება მალე მოგვაწოდონ ცნობები, თუ, დაახლოვებით მაინც, რამდენი ქართველი (განურჩევლად სქესისა, სარწმუნოებისა და სხვ.) სწავლობს ამა თუ იმ ქალაქის ყველა უმაღლეს სასწავლებელში, უნივერსიტეტში, სხვა და სხვა ინსტიტუტებში, უმაღლეს კურსებზე, ლიცეიში, სხვა და სხვა აკადემიებში და სხ.), და თავისი ადრესი.

ამ ცნობების მიხედვით წრე დაჰგზავნის საანკეტო ფურცლებს, სად რამდენი იქნება საჭირო. დაწერის შემდეგ ფურცლები ისევ წრეს უნდა დაუბრუნდეს (სასურველია არა უგვიანეს ამა წლის მაისის თვისა).

ადრესი: С-петербургъ. Университетъ Коллегія Имп. АЛ. II. I. Кипшидзе. (4—4)

სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვის შ-ბი ქუთაისში

ამით აცხადებს, რომ მათ მიიღეს განსაკუთრებითი უფლება გაყიდვის რამდენიმე წლით საუკეთესო ხარისხის ცნობილი ფირმის ხ. ს. ხრისტოდულიდის აბრეშუმის თესლისა, მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ მათ საკუთარ სავაჭროში ქუთაისში. რადგანაც თესლი შემზადებულია საგანგებოთ ქუთაისის გუბერნიის ჰავაზე, ამიტომ მყიდველთ უნდა მიაქციონ განსაკუთრებითი ყურადღება კოლოფზე ქართულ ნაწერს და ბეჭედს სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვის შვილებისას. (45—151—15)

ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

ლამბაშიძე ვ. დ.: შინ. და ბავშვ. ყ.-დ ნახ. 1—2 ს.

დღე; გარდა კვირა. 11-12 ს.

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. ორშ., ოთხშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.

გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

კარშინი. ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

მალალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ.,

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

მუსხელიშვილი ვ ს. თვალის, ორშ., ოთხშ. და პარასკ. 2 2-ნახ. ს.

ფირბდოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ-დღე

პაპოვი გ. ა. ყურ., ყელის და ცხვი., ყო. დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

რცხილაძე. ნ. კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.

ხოხოლევსკი გ. გ. ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (200—6.—119)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2-1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

ექიმი კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. ამბროსის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—375)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

ვარეშე უყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

გ. გაშაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

ი. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ვ. ს. მუსხელიშვილი—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—$2^1/_2$ ს. თვალისა.

გ. ა. პოპოვი—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

ე. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა- ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—6.—281)

ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—68

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

ექიმი ვ. ლამბაშიძე

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—6.—109)

ექიმი ვასილ წერეთელი ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—126)

ექიმი კბილისა რომანიშვილი-დგებუაძისა

იღებს ავადმყოფებს 2—6 საათზე. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასში. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში.

ბინა: ავჭალის ქუჩა, N 34. (50—6.—26

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

განქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება $9^1/_2$-დან 5 ს.-დე

რიდელი—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.

პავლოცკი—ქირურგ. ყოველდღე 4-5 ს.

იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარს., კვირა 11—12 საათ.

ბოგუსკი—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

ჩუდნოვსკი—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ. ოთხშ. და პარასკ. 4—5 ს.

ერმოლაევი—ბავშვ. ყ.-დღე 1—2 ს.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 2—3.

ნოვიცკი—ებ., ქალ., ყოველდღე 1—2.

ახვლედიანი—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 11—$12^1/_2$ საათ.

კალამქაროვი—ბებ., ქალ., ყოველდღე, კვირის გარდა 4—5 საათ.

ბალდინა-ნოვიცკაია—ცხვ. ყელ. ყურის. $11^1/_2$—$12^1/_2$ საათ.

ასპიროვი—ცხვ., ყელ., ყურ. 1—2 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსერმანის შრატით. (100—6.—14)

ექიმი ზ. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ. საღამოს 5—6 საათზე. ავლაბარი, კაბგეროვის ქუჩა N 17, პროვიანტის მაღაზიის პირდაპირ. ტელეფონი N 816. (0—36)

დ. ქარელში

მედიცინის ფერშალი ლ. პ. ჯინორიძე

იღებს და ნახულობს ავადმყოფებს, უკეთებს ზოგიერთ ჭრილობებს (ოპერაციას), კანში შესასხამ წამლებს, მასაჟს, უცრის ყვავილს და ღებულობს ყოველ დღე საფერშლო საქმეს. (15—155—5)

სპეციალისტი ექიმი ქუთაისში ჩარექოვი

იღებს განსაკუთრებით სიფილისიან, ვენერიულ და კანით ავადმყოფებს. ილია ჭავჭავაძის ქუჩა (გეგუთის ქუჩა). აბულაძის შესახვევი, იოსელიანის სახლი, დილით 12—2 ს. საღამოთი 6 საათზე. 25—ფ.—25

ექიმი გ. მაგაკიანი

შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა. ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 6—6 ს, ძიძეილის პრ., N 36, სახ. ჭავჭანიძისა. (100—ხალ.—106)

ტ.-ქ. საზოგადოების სამტრედიის განყოფილების გამგეობა იწვევს განყოფილების წევრებს კვირას, 28 თებერვალს, წლიურ საზოგადო კრებაზე, დილის 10 საათზე, სამტრედიის ვაჟთა ორ კლასიან სასწავლებლის შენობაში.

განსახილველი საგნები:

1. ახალ წევრების დამტკიცება; 2. 1909 წლის შემოსავალ-გასავლის განხილვა და დამტკიცება; 3. 1910 წლ. სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება, მე-4. გამგეობის წევრების, 3 კანდიდატის და სარევიზიო კომისიისა სამი წევრის არჩევა.

გამოვიდა ახალი მე-9 №-რი




თითო ნომერი 10 კაპ.

წლიური ფასი 5 მან., ნახევარი წლით 3 მან. ხელის მოწერა მიიღება ქართ. დრ. საზოგ. კანტორაში იოსებ იმედაშვილთან.

რედაქტ.-გამომც. იოსებ იმედაშვილი.

ვერის სახალხო აუდიტორია

შაბათს, 27 თებერვალს, ქართულ სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება:

I

„ვაის გვეძახდე უის შევეძახე"

კომედია, 3 მოქ., ვ. გუნიასი.

II

საკონცერტო განყოფილება

გლეხური და იმერული სცენები და სხვა. ადგილების ფასები 5 კ. 25 კ. დასაწყისი საღამოს 8 საათზე ადმინისტრატორი კოსინკოვი.

ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების ხონის განყოფილების წევრთა წლიური კრება დანიშნულია ამ წლის 7 მარტს ხონის ვაჟთა პროგიმნაზიაში, დილის 11 საათზე.

განსახილველი საგნები:

1. გასული წლის ანგარიშები.
2. მდგომარე წლის ხარჯთ აღრიცხვა
3. გამგეობის ერთი წევრის არჩევა.
4. ახალ წევრთა მიღება და სხვა.

3—2

ამერიკული ჯიშის ვაზი

იყიდება ნაფარეულის (კახეთის) საუფლისწულო მამულში შემდეგი სორტისანი:

რუპესტრის-დიუ-ლოტ და მურვედრ რუპესტრის № 1202 ათასი ცალი ორმან-ნახევარიანი 10 მან.

რიპარია გლუარ დე მონპელიე და რიპარია გრანდ გლაბრ ათასი იმავე ზომისა 8 მან.

შეხვევა და გაგზავნის ფასი მყიდველების ხარჯზე. შეკვეთა შეიძლება ნაფარეულის საუფლისწულო მამულის კანტორაში. ქ. თელავი (3—6.—2)


## კიდევ ტერიტორიის საკითხის გამო

ერევნიდან კერძო წერილი მივიღე, რომელშიაც ავტორი გამოსთქვამს იქაურ ქართველთა პატარა ჯგუფის აზრს ტერიტორიის შესახებ. „ქართველი ერი,—სწერს ავტორი,—ამაყობდა საკუთარის ტერიტორიით და ახლა ესეც ხელიდან გვეცლება, მოგველის საშინელი მატერიალური და სულიერი სილატაკე... ნუ თუ ორ მილიონ ხალხს არ შეუძლიან თავის თავის შველა? ორიოდე სანდო პირმა რომ ითაოს, დაარსოს ამხანაგობა იაფფასიან პაებით, დიდ ფულს შეაგროვებენ საქმისათვის, მარტო აქაურები 2000 მანეთის პაებს გაანაღდებდენო".

როგორც მკითხველი ჰხედავს, პროვინციაც დაუფიქრებია ამ საჭირბოროტო საკითხს. ან-კი განა მოიპოვება შინ და გარეთ ცოტად თუ ბევრად შეგნებული ქართველი, რომელსაც გული არ აეკვნესოს ჩვენს აწინდელ უკუღმართობაზე და უიმედო მომავალზე. მოდი და ნუ დაფიქრდები, როცა შენის თვალითყურით ხედავ-ისმენ, თითქმის ყოველ დღე, სისტემატიურად სამშობლო ქვეყნის დაკნინებას, საქართველოს სხეულის თანდათან დაქუცმაცებას, უნებლიედ გებადება კითხვა, რა ვქნათ, როგორ მოუაროთ საქვეყნო საქმეს, რომ დაღუპვის გზაზე სიარული შევაჩეროთ.

გაგონდება პოლონეთის ტერიტორიაზე გერმანელების მიერ მიტანილი იერიში და პოლონელების მიერ უკანასკნელთა სრული დამარცხება. მით უფრო აღტაცებით ეგებები ამ გამარჯვებას, რომ მათ წინაამდეგ გერმანელებმა აამუშავეს 8 მილლიონი მარკა—ისეთი ეკონომიური ძალა, რომელსაც თანამედროვე კაპიტალისტიურ წეს-წყობილებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. მიუხედავად ამისა, პოლონელებმა სულ რამდენიმე თვის განმავლობაში ბანკის დასაარსებლად შეჰკრიბეს საჭირო თანხა—ძალას ძალა დაუპირდაპირეს და ზედ კიდევ დაურთეს სამშობლოს სიყვარული, ეროვნული თვით-შეგნება. ამას მოჰყვა შედეგად ის, რომ პოლონელებმა ყოველ 100 დაკარგულ გექტარზე საკუთარ ტერიტორიისა 110 გექტარი გერმანელებისაგან შეიძინეს.

გაგონდება გერმანელ სოციალ-დემოკრატთა ლიდერის,—ბებელის მუქარით წარმოთქმული სიტყვა რეიხსტაგში წარსულ წელს იმათ წინააღმდეგ, ვინც გაბედავს და გერმანელთა ერთ მტკაველ მიწას შეეხება. ამ მსოფლიო მქადაგებელმა მუშათა ერთობისა და მოწინააღმდეგემ ომიანობისა მზად ჰყო მუშათა შეიარაღება სამშობლოს დასაცველად. ამავე აზრს ადგანან და საქმითაც ემსახურებიან ფინლანდიელები, ჩეხები, და მრავალნი სხვანი, განურჩევლად პოლიტიკურ რწმენისა, ვინც განმსჭვალულია არა შოვინიზმით, არამედ ნამდვილ, ზომიერ ნაციონალიზმით, ვინც კაპიტალიზმის ბუნებრივ მსვლელობაში ჰხედავს სოციალიზმის დამყარებას მხოლოდ ერთის საშუალებით—სისტემატიურად კულტურულ მუშაობით ხალხში, რომელიც გარეშე ეროვნებისა, მისის პიროვნების, თავისებურობის შეულახავად ვერ წარმოუდგენიათ.

დარწმუნებული ვარ, ერევნელ კორესპონდენტის მიერ გამოთქმული აზრი ჩვენ პროვინციებში ყველგან ტრიალებს; გეგელის სისტემით რომ ვსთქვათ, მრავალ ქართველში დაბადებულა წამოყენებულ საკითხის შესახებ შემაერთებელი ტეზისი—შეგნება საერთო გაჭირვებისა, რომელიც გარეგნულ ფორმით ჯერ წუწუნს არ გასცილებია; ამას უნდა მოჰყვეს ანტიტეზისი, ე. ი. უკუ ვაგდოთ წუწუნი, რეალურ ფაქტს, ცხოვრების პირობებით გამოწვეულს, თვალ ხილულად შევხედოთ და რეალური საშუალება გამოუნახოთ. ამისათვის აუცილებლად საჭიროა გაფანტულ ძალების თავის მოყრა, იმ ორი ათას მანეთების შეგროვება, რომლებზედაც ერევნელი ქართველები გვითითებენ.

აქ იბადება საკითხი ნდობაზე. ამ მხრივ საქმის მოსაწყობად უნდა შემუშავდეს საერთო პროგრამა ჩვენი ბანკების წარმომადგენელთა მიერ—განსაკუთრებული საკრედიტო დაწესებულება დავაარსოთ თუ უკვე არსებული ერთ-ერთი ბანკი ფინანსიურად გავაძლიეროთ სათანადო ფუნქციების დავალებით. ეს უკანასკნელი საშუალება პირადად ჩვენ უფრო ადვილ მისაღწევად მიგვაჩნია, მით უფრო ახლა, როდესაც საჭირო ნებართვის მიღებაც ზედმეტ სიძნელეს წარმოადგენს.

ეგნატე ხრამელაშვილი.

## სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბ. დეპ. სააგენტ.)

ბიუჯეტი.

24 თებერვლის სხდომაზე სათათბირომ, ვიდრე ბიუჯეტის განხილვას შეუდგებოდა, მოისმინა 35 დეპუტატის შეკითხვა. ეს დეპუტატები ეკითხებიან შინაგან საქმეთა მინისტრს სარატოვის სავლეხო საქმეთა საკრებულოს დადგენილების შესახებ. ამ საკრებულოს რაღაც უკანონობა ჩაუდენია (დეპეშაში არ არის გადმოცემული) ერთი სოფლის საზოგადოების შესახებ. სათათბირომ, 91 ხმით 78 ხმის წინააღმდეგ, მიიღო სისწრაფე შეკითხვისა და კომისიას ორი კვირის ვადა მისცა.

შემდეგ სათათბირომ განაგრძო არა-პირდაპირ გადასახადთა დეპარტამენტის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა.

ჩელიშევი. არყის საქმეში მთავრობა არავითარს ეკონომიას არ იჩენს. არყის ქარხნები თანასწორად არ არის განაწილებული რუსეთის სხვა-და-სხვა კუთხეში. ესაა მიზეზი, რომ სადაც ბევრ არაყსა სვამენ, იქ ცოტა თამბაქოს სწევენ. ფასების თანასწორად არ განაწილების გამო ხაზინა ყოველ ვედრაზე 40 კაპიკს ჰკარგავს, რაც სულ 30 მილიონს შეადგენს. სპირტის დასამზადებლად საჯარო ვაჭრობა უნდა დაინიშნოს ხოლმე. ამას გარდა, მთავრობა პრემიებს აძლევს არყის ქარხნის პატრონებს. ამ რიგად მთავრობა ფულით ეხმარება მდიდარ მექარხნეებს, ხოლო სრულიად ივიწყებს ღარიბ გლეხობას. სათათბიროც მხარს უჭერს მთავრობას, რადგან დღევანდელ სათათბიროში 60 პროცენტი არყის მექარხნეთა. ჩელიშევმა წაიკითხა ფორმულა: დაეკლოს არაყს სიმაგრე, აიკრძალოს პატარა ჭურჭლით არყის გაყიდვა და სხვა. დასასრულ, ორატორმა შეიტანა 102 დეპუტატის ხელ-მოწერილი წინადადება—გადაიდოს ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა იმ დრომდე, ვიდრე განსახილველად შემოტანილი არ იქნება პროექტი კანონის შეცვლის შესახებ.

ჩელიშევის სიტყვამ, განსაკუთრებით იმისმა წინადადებამ ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის გადადების

შესახებ, ძალიან გააცხარა როგორც მთავრობის წარმომადგენელნი, ისე ოქტომბრისტები.

**ფინანსთა მინისტრმა** განაცხადა, ყოვლად შეუძლებელია ჩელიშევის წინადადების მიღებაო. ასეთი წინადადება უაზრო და უკანონოაო.

**ლერხემ** (ოქტომბ.) პროტესტიც კი განუცხადა ჩელიშევს: ბიუჯეტის განუხილველობა არ შეიძლება, სახელმწიფო მანქანა შეჩერდებაო.

**შუბინსკიმ** (ოქტომბ.) შეურაცხყოფაც მიაყენა ჩელიშევს: იმის პროექტისა კომისიამ ვერაფერი გაიგო, ისე უხეიროდ არის შედგენილიო.

**შინგარევმა** კადეტების სახელით განაცხადა: ჩელიშევის აზრი კარგია, მაგრამ მისი მიღება არ შეიძლება— ბიუჯეტი უსათუოდ უნდა დავამტკიცოთო.

**მიაგკი** (მემარცხენე). მთავრობა ამრავლებს სამიკიტნოებს და ამავე დროს არავითარ საშუალებას არა ხმარობს ლოთობის შესასუსტებლად. ლოთობასთან სამღვდელოებას შეეძლო ბრძოლა, მაგრამ იგი ძალიან ასცდა ნამდვილ გზას და ეხლა ძალიან ბევრი წყალია საჭირო სამღვდელოების გასაწმენდად და გასანათლავად.

კიდევ რამდენმამე ორატორმა ილაპარაკა და თავმჯდომარემ მხოლოდ მაშინ მიაქცია ყურადღება მიაგკის სიტყვას—ეს შეურაცხყოფააო. მიაგკიმ განაცხადა, მე სრულებითაც არა ვგულისხმობდი ნათლიღებასაო. მიუხედავად ამისა, მიაგკი ხუთი სხდომიდან დაითხოვეს.

ხარჯ-აღრიცხვის შესახებ სიტყვები წარმოსთქვეს კიდევ კუტლერმა და ანდრიანოვმა. სათათბირომ ბოლოს მიიღო ხარჯთ-აღრიცხვა და შეუდგა მუხლობრივ განხილვას.

საღამოს სხდომაზე სათათბირომ განაგრძო კამათი ოპოლის შეკითხვის შესახებ. ილაპარაკეს მღვ. იურაშკევიჩმა, როდიჩევმა, ალექსეევმა და პარჩევსკიმ. მღვდელმა მჩაგვრელებად თითონ პოლონელები გამოიყვანა. მათ დასტანჯეს რუსებიო. ალექსეევიც ამას ამტკიცებდა. პარჩევსკის, როგორც ეტყობა, ნამდვილი სურათი გადაუშლია შეკითხვის ვითარებისა, მაგრამ ამას დეპეშა სულ ორი სიტყვით გადმოგვცემს.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

25 თებერვალი.

**საზღვარ-გარეთ.**

**ნიუ-იორკი.** რესპუბლიკელების ნადიმზე ბანკირმა იაკობ შიფმა განაცხადა, შორეულ აღმოსავლეთში მოსალოდნელია დიდი ომიო. იაპონიამ, რუსეთმა და ინგლისმა კავშირი შეჰკრეს, რომ ჩინეთი თავიანთ ხელქვეით სახელმწიფოდ იყოლიონ. ამ სახელმწიფოების შეთანხმება მშვიდობიანობას დიდ საფრთხეს უმზადებს. თუ ამერიკელებმა დიპლომატიური მოლაპარაკებით არ მოსპეს ეს შეთანხმება, მასაც ჩაითრევენ შორეულ აღმოსავლეთის საქმეებშიო.

**ტოკიო.** მთელი იაპონური პრესა აღშფოთებით და გულისწყრომით აღნიშნავს იაკობ შიფის სიტყვას.

**ბრედფორდი.** გაიფიცა მატყლის მწმენდავი 70,000 მუშა.

**ფილადელფია.** ხალხმა ქვა დაუშინა გაფიცვის მოწინააღმდეგეებს, რომლებიც ტრამვაის ვაგონში ისხდნენ. გაფიცვის მოწინააღმდეგეებმა თავის მხრივ ხალხს სროლა დაუწყეს და რამდენიმე კაცი დასჭრეს. ხალხმა სულ ერთიანად დაამტვრია რამდენიმე ვაგონი.

**სტამბოლი.** „ტანინი" ეხება ბალკანეთის საქმეებს და სწერს: ოსმალეთის რევოლიუციამ, ბოლგარიის თავისუფალ სახელმწიფოდ გამოცხადებამ და ბოსნია და ჰერცოგოვინას ანექსიამ ბალკანეთის საქმეები შეარყია. ბალკანეთის მდგომარეობას ეხლა გააუმჯობესებს ბალკანეთის სახელმწიფოების კავშირი. ამას ამტკიცებს სლავიანთა მეფეების პეტერბურგში ჩასვლა და სერბიის მეფის გადაწყვეტილება სტამბოლში წასვლის შესახებ. პირველად ეს შეამჩნია ავსტრიის პრესსამ და ოსმალეთს ურჩია ავსტრიასთან დაკავშირება, მხოლოდ ამ კავშირს შეუძლიან უზრუნველჰყოს ოსმალეთი სლავიანთა ლტოლვილებისაგანაო. ჩვენის აზრით, ბალკანეთის სლავიანთა მოძრაობა ოსმალეთისთვის არავითარ შიშს არ წარმოადგენს. რაც ოსმალეთში კონსტიტუცია დამყარდა, რუსეთ-ოსმალეთის მეგობრული განწყობილება განმტკიცდა და ამიტომ ოსმალეთს კიდეც უნდა გაუხარდეს რომ პეტერბურგში ბოლგარიის მეფე ფერდინანდი ჩავიდა: სერბიის გარეშე მინისტრის მილოვანოვიჩის სტამბოლში ჩამოსვლამ გაამტკიცა ოსმალეთ-სერბიის მეგობრული განწყობილებაო.

**ვენეცია.** ტარნოვსკაიას საქმე. ჩვენება ჩამოართვეს პრილუკოვს. პრილუკოვმა განაცხადა: კომაროვსკი პირველად გავიცანი მოსკოვში. ეს იყო 1904 წელს. ტარნოვსკაიამ მოსკოვში მთხოვა კიევში მასთან ერთად წავსულიყავი. ამ დროს სასამართლოში ირჩეოდა ერთი საქმე, რომელშიაც, სხვათა შორის, ბრალი ტარნოვსკაიასაც ედებოდა და ამიტომ ტარნოვსკაია დარიგებას მთხოვდა. 1904 წლის ბოლოს ტარნოვსკაიამ წერილი მომწერა, მიყვარხარო. ძალიან გამიკვირდა ეს, რადგან ეს პირველი მაგალითი იყო, რომ ქალს ჩემთვის სიყვარული გამოეცხადებინოს. ტარნოვსკაიას შევატყობინე, რომ ოჯახს ვერ მივატოვებ მეთქი. მიუხედავად ამისა, ტარნოვსკაიას კიევში დაუახლოვდი. (პრილუკოვი ცოტა ხანს შეჩერდა, ტირილით გული ამოუჯდა). 1905 წელს ტარნოვსკაია მირჩევდა მიმეტოვებინა ოჯახი და მასთან დავრჩენილიყავი. ტარნოვსკაია ძალიან ღელავდა და კოკაინს სვამდა, რომ დამშვიდებულიყო. (ტარნოვსკაიამ ცოტა ხნით მიატოვა სასამართლო. მას გული წაუვიდა, ექიმმა დახმარება აღმოუჩინა). ერთხელ ტარნოვსკაიამ ძალა დამატანა და წერილი დამაწერინა. წერილში ვწერდი, თუ მოვკვდე, ჩემ სიკვდილში ბრალს ნაუმოვის დასდებთ მეთქი. ტარნოვსკაიამ გამომართვა წერილი და დახია. მე დავრწმუნდი, რომ ტარნოვსკაია ყველაფერს მიზავდა. ტარნოვსკაია ამ დროს ძალიან გაჭირვებული იყო და მე შევუდექი მის ფინანსიურ საქმეების მოწესრიგებას. 1905 წლის შემოდგომაზე მეგობრებმა მირჩევს მიმეტოვებინა ტარნოვსკაია. მეგობრებს დაუჯერე და ტარნოვსკაიას წერილი მივსწერე, გტოვებ მეთქი, მაგრამ მიუხედავად ამისა ვერ შევძელი მისი მიტოვება. ერთ დროს თავის მოკვლა განვიზრახე, მაგრამ საწამლავმა არ გასჭრა. ტარნოვსკაიას სულ ჩამჩიჩინებდა, საზღვარ-გარედ წავიდეთო. საკუთარ ფულების უქონლობის გამო, დავხარჯე კლიენტების ფული და ტარნოვსკაიასთან ერთად წავედი ვენას, პარიზს, ბერლინს და ალჟირში. უკან დაბრუნების დროს მარსელში ტარნოვსკაია მივატოვე, მაგრამ მეორე სადგურიდანვე დავბრუნდი და მზად ვიყავი ყოველივე მისი სურვილი ამესრულებინა. ტარნოვსკაია რუსეთში დაბრუნდა, მე კი საზღვარ-გარედ დავრჩი. რამდენიმე ხნის შემდეგ ტარნოვსკაია ბერლინში შემხვდა. ტარნოვსკაიამ მითხრა, კომაროვსკიზედ ვთხოვდები და შემეკითხა, თუ რას ვიზამ. ამასთან ტარნოვსკაიამ მითხრა, თავი რომ მოიკლათ, მთელ ჩემ სიცოცხლეში აღარ დამავიწყდებით და წმიდანივით პატივსა გცემო. ტარნოვსკაია კომაროვსკისთან ერთად ვენეციაში წავიდა. მეც უკან დავედევნე და სასტუმროში, მათ მეზობლად, ჩამოვხტი. ვენეციიდან კომაროვსკი და ტარნოვსკაია ვენაში გაემგზავრნენ. იმავე მატარებლით ვენაში გავემგზავრე. მატარებელში ტარნოვსკაიამ გადმომცა, კომაროვსკი მეჯავრებაო. ამასთან დამაფიცა, რომ კომაროვსკის მოვკლავდი. ვენაში ჩასვლისას ტარნოვსკაიამ დამავალა კომაროვსკი დამზღვევ საზოგადოებაში დამეზღვია და შემდეგ კომაროვსკი ხანჯლით მომეკლა. მე ადამიანის ანატომიის შესწავლას შევუდექიო.

**სტამბოლი.** ოსმალეთის სააგენტოს ატყობინებენ: ოსმალეთის მთავრობის ცნობა სერბიის გარეშე საქმეთა მინისტრის და ოსმალეთის სახელმწიფო მოღვაწეთა მოლაპარაკებიდან გამოირკვა, რომ ორთავე სახელმწიფოები სცდილობენ დაიცვან ბალკანეთის სტატუს კვოო. ესევე გადასცა სერბიის გარეშე საქმეთა მინისტრმა პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს. მილოვანოვიჩი ძალიან კმაყოფილია მოლაპარაკების შედეგით. მილოვანოვიჩს იმედი აქვს, რომ ბალკანეთის სახელმწიფოებიც შეთანხმდებიან.

## რ უ ს ე თ ი

**კერჩი.** დიდი ქარიშხალისა და ღელვის გამო ზღვა ნაპირებიდან გადმოვიდა. ახლო მახლო ადგილები წყლითაა სავსე.

**პეტერბურგი.** ალექსანდრეს თეატრში არტისტ-ქალის სავინას სცენაზედ 35 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად გაიმართა სადღესასწაულო წარმოდგენა. ითამაშეს 4 პიესიდან თითო - თითო მოქმედება. წარმოდგენას დაესწრო დედოფალი მარიამ თეოდორეს ასული და დიდი მთავრები და მთავრინები.

**პეტერბურგი.** სენატმა განიხილა მედიცინის დოქტორის დანჩენკოვის საჩივარი. დანჩენკოვი უჩიოდა საერო განათლების მინისტრს, მოსკოვის უნივერსიტეტის პრივად-დოცენტობის უფლება არ მომცაო. სენატმა უყურადღებოდ დასტოვა დანჩენკოვის საჩივარი.

**ვილნო.** 23 თებერვალს სამოსწავლო ოლქის მზრუნველის სახლში მივიდა გიმნაზისტი და მოჰკლა მზრუნველის ცოლი, დასჭრა მისი ქალი და შემდეგ თვითონ მოიკლა თავი.

**ბუხარა.** ზირაბულაკში დაიწვა ბუხარის ემირის ბამბეულობის ქარხანა.

**პეტერბურგი.** გზათა მინისტრის თავმჯდომარეობით შესდგა კომისია. კომისია განიხილავს საკითხს, რომ კავკასიის მთის რკინის გზის გაყვანა დაევალოს კავკავის რკინის გზის საზოგადოებას.

**პეტერბურგი.** სასამართლომ ბრეშკა-ბრეშკოვსკაიას მიუსაჯა უფლებათა ჩამორთმევა და გადასახლება, ჩაიკოვსკი გაამართლა.

### ჰაერში ფრენა

**შტუტგარტი.** 23 თებერვალს რუსი ავიატორი რუცკოი გაფრინდა თავის ახლად გამოგონილ ჰაეროპლანით. ჰაეროპლანი ორ მოტორიანია. პირველად რუცკოი მშვენივრად გაფრინდა; მეორედ გაფრენისას ჰაეროპლანი დაიმტვრა და ძირს ჩამოვარდა. რუცკოის ხელი დაუშავდა.

# ქუთაისის ამ-ბარში

თავად-აზნაურთა კრება 23 თებერვალს.

დღეს რომ კრება გათავდა, ერთმა ხნიერმა და დარბაისელმა ცენზის პატრონმა თავის გულის წყრომა გამოაცხადა და საუბარი იმითი დაამთავრა, რომ უმჯობესია ის უფლებაც ჩამოგვართვან, რომელიც ჩვენ წოდებასა აქვს მინიჭებულიო. რომ დავუკვირდი ამ აზრს, მართალი მოგახსენოთ, მეჭაშნიკა. ორი დღეა გულ-მოდგინეთ ვისმენ, რაც კრებაზე ხდება და თუ სარევიზიო კომისიის არჩევას არ მივიღებთ მხედველობაში, სხვა არაფერი გაკეთებულა ისეთი, რომ კაცმა სთქვას: შეკრებილან ბრწყინვალე წოდების წარმომადგენელნი და ქვეყნის სიკეთეზე ზრუნავენ. ვინ ქვეყანა ან რა ქვეყანა—რა ბრძანებაა. ყველაფერი დაკავშირებულია კენჭობასთან და ამ თვალსაზრისით მოქმედებს ყველა.

რაც გადასწყდა წინა კრებაზე, ის უკვე გაცნობეთ და 23 თებერვლის კრება არჩევნებს შეუდგებოდა, რომ თავ. დ. ნიჟარაძის მოთხოვნით კრებას არ ჩოჰხსნებოდა მასა და ზუგდიდის მაზრის წინამძღოლს შორის ატეხილ უთანხმოების გარემოება. მე კი სულ სხვა მეგონა. გულ-უბრყვილოდ მეგონა, რომ თავად-აზნაურობის მორიგი კრება შეეხებოდა იმ ინციდენტს, რომელიც სწორედ ერთი წლის წინად მოხდა, კირიონისა და სხვა სამღვდელო პირთა გაძევებისა და შევიწროვების შესახებ. მეგონა, რომ მხარს დაუჭერდა იმ პატივცემულ პირთ, რომელთაც ციხეში ამოაყოფინეს თავი რამ საქმის გამო და თუ ამას არ იზამდა, თანაგრძნობას მაინც გამოუცხადებდა; მეგონა, რომ ბრწყინვალე წოდება მხარს ვერ აუქცევდა იმ საკითხს, რომელიც ეხლა ერთნაირად აინტერესებს ყოველ ქართველს, ე. ი. ჩვენი ტერიტორიის დაკარგვას; მეგონა, რომ შესაფერ ყურადღებას იაქ ცევდა კრება იმ საკითხს, რომელიც მგონი შარშან აღძრა ქართულ გიმნაზიის ადმინისტრაციამ, რომ ჩვენს გიმნაზიას იგივე სახე მიეღო, როგორიც მისცა ბალტიის მხარის თავ.-აზნაურობამ თავის სასწავლებლებს, სადაც გარდა რუსულ ენისა და რუსეთის ისტორიისა, სწავლა სამშობლო ენაზე სწარმოებს. ყველა ამას და მრავალ სხვა საჭირ-ბოროტო საკითხს მხარი აუქციეს და დილის 11 საათიდან სამამდის მოუნდნენ კინკლაობას და ერთმანეთის უშვერ სიტყვებით ლანძღვა-გინებას.

რა იყო, რა მოხდა, იკითხავს მკითხველი. სულ უბრალო რამ: ერთმანეთის გაუტანლობა და სურვილი თავი კარგად აჩვენონ ძალის მქონე მართლ-მორწმუნეთ. თურმე წარსულ შემოდგომაზე დეპუტატთა საკრებულოში აღძრულა ლაპარაკი კრების მოწვევაზე. თავ. დ. ნიჟარაძის სიტყვით, რაც ოქმითაც მტკიცდება, მას ის აზრი გამოუთქვამს, რომ სიები უნდა შესწორდეს, თანახმად გუბერნატორის მოთხოვნისა და კრება დაინიშნოსო. ბ-ნ ალშიბაიას სიტყვით კი, ოქმში აღნიშნული აზრი თ-დ ნიჟარაძისა ყალბია, ნამდვილად იგი წინააღმდეგი იყო სიების შესწორებისა და იმ აზრს ქადაგებდა, რომ ჩვენ მოვალენი არა ვართ ანგარიში გავუწიოთ გუბერნატორის მოწერილობას და მეცენზეთა სიები შევასწოროთო, მაგრამ როცა უმრავლესობამ გადასწყვიტა კრების მოწვევის გადადება იმ აზრით, რომ სენატის განმარტებას დავუცადოთო, მაშინ თავ. ნიჟარაძემ თავის ნალაპარაკევის წინააღმდეგი აზრი წააწერა ოქმზე, უთუოდ იმ განზრახვით,—განაგრძო ალშიბაიამ,—რომ გუბერნატორისთვის გაეგებინებინა—თქვენის მოწერილობისა და სურვილის თანახმად ვმოქმედებდიო.

ამის პასუხად თავ. ნიჟარაძემ განაცხადა: მე სრულებითაც მოვალედ

# სიკვდილი

შელლისა.

მკვდრის გაცოცხლება არავის ძალუძს,
შავად მოუცავს სამარე ნადგველს;
სიკვდილი სხვებსაც თვისკენ ეძახის,
ხან ძმას, მეგობარს და ხან საყვარელს.

ტყუილად ჰგოდებთ, ტყუილად სტირით,
არ ეღირსება მკვდარს დაბრუნება;
იყო რაღაცა და უცბად გაჰქრა,
მის ნაცვლად მხოლოდ სახელი რჩება!

ა. შანშიაშვილი.

# მ ე ლ ო დ ი ა

ჯაება, სნება,
არა მშორდება...
თავს დამფარფატებს შავი აჩრდილი!
ოცნების ფასკუნჯს
შეჰასხი ფრთები,
ცხოვრებას მკვდარს, მუნჯს
არ ვეგუები!...

* * *

მაგრამ შავ-ბნელი,
მწველი, ნაღველი,
ბრბო უმეცარი, ღვარძლით აღვსილი
შურით თვალს ღულავს,
მიკლავს გულის-თქმას;
ჰგმობს, სწყევლის, ჰკრულავს
იმედს და აღთქმას!..

* * *

წყევა, ცრემლთ ნთხევა,
სათვლავს ემთხვევა.
ახ, რად იზრდება წალკოტს ყვავილი,
თუ კი შხამ-გველი
ჰკბენლავს... თან სტკბება
და, ჯერ უმღერი,
უჟამოდ სჭკნება?!..

ი. გრიშაშვილი.

# ძვირადა ღირს

ამბავი ლ. ნ. ტოლსტოისა.

საფრანგეთსა და იტალიას შუა, ხმელთა შუა ზღვის ნაპირას, არსებობს პაწაწინა სამეფო. ამ სამეფოს ეწოდება მონაკო, მთელს სამეფოში იმდენი მცხოვრებია, რამდენიც ერთს დიდს სოფელში, სულ შვიდი ათასი, ხოლო მიწა კიდევ იმდენია, რომ თითო სულზე ერთი დღიურიც არ მოვა. მიუხედავად ამისა, ამ სამეფოში არის ნამდვილი მეფე. მეფეს აქვს სასახლე, ჰყავს დიდებულნიც, მინისტრებიც, ეპისკოპოსიც, გენერალიც, ჯარიც.

ჯარი ცოტაა, სულ სამოცი კაცი, მაგრამ, რაც უნდა იყოს, მაინც ჯარი ჰქვიან. მეფეს შემოსავალი ცოტა აქვს. როგორც სხვაგან, აქაც ისეა გარდასახადი თამბაქოზე, ღვინოზე, არაყზე, ყოველს ადამიანზე და თუმცა სვამენ და სწევენ კიდეც, მაგრამ ხალხი ცოტაა და ამიტომ შემოსავალიც ცოტა შედის და მეფეს შეძლება არ ექნებოდა თვითონაც გამოეკვებნა თავი და თავისი მოხელეები და დიდებულებიც შეენახა, სხვა შემოსავალი რომ არა ჰქონოდა. ეს შემოსავალი კი „რულეტკის" სათამაშო სახლიდანა აქვს. თამაშობენ, აგებენ, იგებენ, ხოლო სათამაშო სახლის პატრონი კი არაფერს აგებს, ის ყოველთვის მოგებაშია. ეს საქმე, მეფეს დიდ ძალ ფულს აძლევს, იმიტომ რომ ამისთანა სათამაშო სახლი მთელს ევროპაში მხოლოდ ერთია.

წინად ამ გვარი სათამაშოები იყო გერმანიის პატარა სამთავროებში, მაგრამ ამ რამდენიმე წლის წინად გააუქმეს. იმიტომ გააუქმეს, რომ ამ სათამაშოებისა გამო ბევრი უბედურება ხდებოდა. მოვიდოდა ვინმე, დაიწყებდა თამაშობას, წააგებდა, ხელიდან წაუვიდოდა რაცა ჰქონდა, ხშირად სხვის ფულსაც აგებდა და მერე კი დარდით ან თავს იღრჩობდა წყალში, ან ტყვიას იტყავდა შუბლში. გერმანელებმა თავიანთ პატარა მთავრებს აუკრძალეს, მხოლოდ მონაკოს მეფეს ვერავინ აუკრძალავს, მას ერთს დარჩენია ბურთი და მოედანი.

მას შემდეგ ყველა მსურველი იმისკენ მიეშურება. ესენი აგებენ, მეფე კი იგებს. პატიოსანის შრომით ვერ ააშენებთ ციხე-დარბაზს. თვითონ მეფემაც კარგად იცის, რომ ეს საქმე კარგი არ არის, მაგრამ რა უყოს? ცხოვრებაა საჭირო. არც თუ არყისა და თამბაქოს შემოსავლით ცხოვრებაა ამაზე უკეთესი.

ასე სცხოვრობს ეს მეფე. მეფობს, ფულს იღებს და სასახლეში საქმეს აწესრიგებს ნამდვილი დიდი მეფეებივით, გვირგვინს იდგავს, სჩუქრებს არიგებს, სჯის, იწყნარებს, აქვს საბჭოც, კანონიც, სასამართლოც. მხოლოდ ეს არის, რომ მისი სამეფო ძლიერ პატარაა.

და აი ერთხელ, ხუთიოდე წლის წინად, ამ პატარა სამეფოში მოხდა მკვლელობა. იქ მშვიდი ხალხია და წინად ამ გვარი ამბავი არა მომხდარა-რა.

შეიკრიბნენ მოსამართლენი და დაიწყეს გასამართლება. აქ იყვნენ ყველანი: მოსამართლენიც, პროკურორიც, ნაფიცი მსაჯულნიც ვექილნიც. გაასამართლეს და, კანონისამებრ, დამნაშავეს მიუსაჯეს თავის მოკვეთა. ეს საქმე წარუდგინეს მეფეს. მან წაიკითხა განაჩენი და დაამტკიცა. დასასჯელი უნდა დაისაჯოს, მაგრამ დახეთ უბედურებას: ამ სამეფოში არც ჯალათია სადმე და არც გილიოტინა (თავისაკვეთი მანქანა). იფიქრეს, იფიქრეს მინისტრებმა და გადასწყვიტეს, მისწერონ საფრანგეთის მთავრობას და შეეკითხნენ: შეუძლიანთ თუ არა ფრანგთ გამოუგზავნონ დროებით გილიოტინა და ჯალათი და, ამასთან, შეატყობინონ, თუ რა დაჯდება ყველა ეს: ერთ კვირაზე მიიღეს პასუხი: გილიოტინისა და ჯალათის გამოგზავნა შეიძლება და დაჯდება სულ თექვსმეტი ათასი ფრანკიო.

მოახსენეს მეფეს. უკანასკნელი დაფიქრდა.

— თექვსმეტი ათასი ფრანკი!— სთქვა მან:—არა ღირს ის უვარგისი იმოდენ ფულად! იქნება როგორმე იაფად მოვრჩეთ, თორემ თექვსმეტი ათასი ფრანკი, ეს იმას ნიშნავს, რომ თითო მცხოვრებს კიდევ შევაწეროთ ხარჯად ორ-ორი და უფრო მეტი ფრანკი. ყველას მძიმედ ეჩვენება და იქნება ხალხიც აჯანყდეს...

შეიკრიბნენ და დაიწყეს თათბირი—როგორ ვუშველოთ საქმესაო. გადასწყვიტეს იმავე შეკითხვით მიჰმართონ იტალიის მეფეს. საფრანგეთის მთავრობა რესპუბლიკანური მთავრობაა და მეფეებს ხათრს არ უნახავს, ხოლო იტალიის მეფე, რაც უნდა იყოს, ჩვენსავით მეფეა, ჩვენი ძმაა და იქნება იაფად დაგვითმოსო. მისწერეს წერილი. მალე პასუხიც მიიღეს. იტალიის მთავრობა სწერდა, რომ გილიოტინასაც და ჯალათსაც სიამოვნებით გამოვგზავნი, მაგრამ ეღირება თორმეტი ათასი ფრანკიო. შედარებით იაფია, მაგრამ მაინც ძვირია და ის საძაგელი არც ამდენადა ღირს. გამოდის, რომ თითო კაცს ორს ფრანკზე ცოტა ნაკლები უნდა შეეწეროს.

ხელახლად შეიკრიბა საბჭო. ფიქრობდნენ—როგორ დავისვათ იაფადაო. იქნება ჯარის-კაცთაგანმა იკისროს ვინმემ დამნაშავის თავის მოკვეთა? სულ ერთია, ომში ხომ ხოცავენ ერთმანერთს ჯარის-კაცები? მათ ხომ ამისათვის ამზადებენ? მოელაპარაკა გენერალი ჯარის-კაცებს —ხომ არავინ იკისრებს თქვენგანიო. უარი მიიღო.

— არა,—მიუგეს მათ:—ჩვენ ეს საქმე არც გვისწავლია და არც შეგვიძლიანო.

რა უყონ? შეიკრიბნენ ერთად კომიტეტი, კომისსია. იფიქრეს, იფიქრეს და ბოლოს მოიფიქრეს: სიკვდილით დასჯა შეუცვალონ საუკუნო საპყრობილედ. აქ მეფის წყალობაც გამოჩნდება და ხარჯიც შემცირდებაო.

დაეთანხმა მეფე და ასეც გადასწყვიტეს. მაგრამ კვლავ უბედურება. იმგვარი საპყრობილე არსად მოიპოვება, რომ სამუდამოდ გამოიკეტოს. არის პატარა სატუსაღოები, სადაც დროებით ამწყვდევენ, მხოლოდ ისეთი, რომ საუკუნოდ გამოამწყვდიონ ტუსაღი, არსად არ არის მთელს სამეფოში. ბოლოს, როგორც იყო, გამონახეს შესაფერი სადგური, გამოამწყვდიეს ტუსაღი და მიუჩინეს დარაჯი. უდარაჯებდა დარაჯი და საჭმელიც მიჰქონდა პატიმრისათვის სასახლის სამზარეულოდან.

ამგვარად იჯდა პატიმარი ექვსი თვე, ერთი წელიწადი. წლის თავზე მეფემ დაამოწმა შემოსავალ-გასავალი და ნახა, რომ პატიმრის შენახვა სულ ახალი, მეტი ხარჯი იყო და, ამასთან არც იაფად ჯდებოდა.

— დარაჯი და საჭმელ-სასმელი ერთს წელიწადში ექვსასი ფრანკი დაჯდა,—სთქვა მეფემ:—პატიმარი კი ახალგაზრდაა, ჯანმრთელი, ვინ იცის, ორმოცდა ათ წელიწადს კიდევ იცოცხლოს!. იანგარიშეთ, რა დაჯდება მისი შენახვა. ხარჯი მეტად დიდია, ასე არ ივარგებს.

მოუწოდეს მინისტრებს.

— იფიქრეთ,—უთხრა მან,—რა მოვახერხოთ ისეთი, რომ ის საძაგელი იაფად დაგვიჯდეს, თორემ მეტად ბევრი გვეხარჯება.

მინისტრებმა დაიწყეს ფიქრი.

— აი რა, ბატონებო,— სთქვა ერთმა:—ჩემის აზრით, დარაჯი უნდა დავითხოვოთ.

— პატიმარი ხომ გაიქცევა?

— გაიქცევა და გაიქცეს, უფრო კარგი!

არ ჩავთვლიდი ჩემს თავს, ზემოხსენებული ოქმი გუბერნატორისთვის წარმედგინა, მაგრამ ალშიბაიამ შეატყობინა გუბერნატორს, ვითომ მე წინააღმდეგი ვიყავი როგორც კრების მოწვევისა, ისე სიების შესწორებისა. ამ აზრის გასაბათილებლად მე წარვუდგინე გუბერნატორს ოქმი და არც შემეძლო სხვანაირად მოვქცეულიყავიო.

ბ-ნ ალშიბაიას ამის შემდეგ განუზრახავს აღედგინა საქმის ვითარება და ამისათვის გაუგზავნია დეპუტატთა საკრებულოში მოხსენება, დაწვრილებით განუმარტავს ის, რაც პირველ კრებაზე მოხდა და უთხოვნია, ასლი მოხსენებისა საკრებულოს დაეტოვებინა, ხოლო პირი წარედგინა გუბერნატორისთვის. დეპუტატთა საკრებულოს განუხილავს ეს მოხსენება და იმ აზრს დასდგომია, რომ აღნიშნული გარემოებანი არ ეთანხმება სინამდვილეს. გარდა ამისა, მოხსენების პირის გაგზავნა გუბერნატორთან შესაძლებლად ვერ უცვნია.

სწორედ მაშინ, როცა კრების თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ განსახილველი საგნები აღარა გვაქვს, გარდა წინადღით არჩეულ კომისიის მოხსენებისა და არჩევნებისა, თავ. ნიჟარაძემ მოითხოვა, რომ ზემოდ აღნიშნული ოქმი დეპუტატთა საკრებულოსი კრებას მოხსენებოდა. თავჯდომარე შეჰკრთა, თითქო ერიდებოდა ამ საქმის გამომზეურება, მაგრამ როცა ბ-მა ალშიბაიამაც იგივე მოითხოვა, მაშინ აირია მონასტერი.

განმეორება იმისი, რაც კრებაზე მოხდა, ჩემს ძალას აღემატება. უშვერი ლანძღვა-გინება ერთმანეთისა, ბრალდება მრავალ ბოროტსა და ავ საქმეში, ერთის სიტყვით, ღედ-მამის გინება არ იყო, თორემ სხვა არაფერი დაუკლიათ ერთმანეთისთვის. თამჯდომარე რაღას აკეთებდა ამ დროს? არაფერს იმის მეტს, რომ თავის სავარძელში იჯდა და საშინელ ღრიანცელში ზარს არაწკუნებდა, სხვა მხრით მისი ხელმძღვანელობა არაფერში გამოიხატა. ბევრმა კიდევაც მოსთხოვა, შეასრულეთ თქვენი მოვალეობაო, მაგრამ იგი სდუმდა და სდუმდა.

დიდხანს გაგრძელდა ამნაირი უწესოება და ბოლოს კრებამ, რომელიც უფრო თავ. ნიჟარაძეს ემხრობოდა, ყვირილსა და განგაში ის აზრი გამოსთქვა, რომ საკითხი კენჭის ყრით გადაწყვეტილიყო. როცა ამ აზრმაც ვერ გაიმარჯვა, მაშინ სხვა აზრი დაიბადა—რომ საქმის გამორკვევა და გამოძიება მინდობოდა კომისიას. კომისიის არჩევა 24 თებერვლისათვის გადაიდო.

ასეთი უშინაარსო იყო 23 თებერვლის კრება.

**ნატალიაშვილი.**

---

**ყველიერის დღესასწაულის გამო „დროების“ შემდეგი ნომერი გამოვა კვირას, 28 თებერვალს.**

---

**„დროების“ კვირის დამატების შინაარსი: „მეუღლენი“, მოთხრობა ეკატერინე გაბაშვილისა; სურათები: „ორი დედა“, ავგუსტ ბებელი და კარიკატურა.**

---

# ახალი ამბავი

### ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **არქიმანდრიტ ამბროსის გამართლება.** „კასპ“-ს პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: „სინოდმა განიხილა არქიმანდრიტ ამბროსის საქმე. ბრალდებოდა ეგზარხოსის ნიკონის მკვლელობაში მონაწილეობის მიღება. სინოდმა სრულიად გაამართლა არქიმანდრიტი ამბროსი და დაადგინა, მისცეს ორი წლის ჯამაგირი. გამოეძიებამ სწორედ ორი წელიწადი გასტანა. ამას გარდა, სინოდმა არქიმანდრიტი ამბროსი ნოვგოროდის ეპარქიის ერთ-ერთ მონასტრის წინამძღვრად დანიშნა“.

✦ **მკვლელობა.** 23 თებერვალს ერევანში, ბებუთოვის ქუჩაზედ, უცნობებს მოუკლავთ ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს უფროსის თანაშემწე როტმისტრი ბურკაცკი. მკვლელები მიმალულან. (კავ.)

✦ **ავლაბრის პროგიმნაზია.** აზრად აქვთ, ავლაბრის ვაჟთა პროგიმნაზია გიმნაზიად გადააკეთონ. მომავალ სამოსწავლო წლიდან პროგიმნაზიას უნდა მიემატოს მეშვიდე კლასი, 1911 წლის სექტემბრიდან მერვე კლასი.

✦ **ჟურნალისტთა საზოგადოების კრება.** შაბათს, 27 თებერვალს, დღის 11 საათისთვის, ტფ. ქალაქის გამგეობის დარბაზში დანიშნულია კრება ჟურნალისტთა საზოგადოებისა. კრებას განსაკუთრებული კომისია წარუდგენს მოხსენებას მირზოევ-ნაგურსკი-ყიფიანის შესახებ. როგორც გადმოგვცეს, კომისიას ზოგი ერთი საბუთი მოუპოვებია აღნიშნულ პირთა საბრალმდებლოდ.

✦ **ეპისკოპ. კირიონის თხოვნა.** როგორც პეტერბურგიდან გვატყობინებენ, ეპისკოპოს კირიონს მიტროპოლიტ ანტონისთვის შემდეგი თხოვნა მიუცია: „უწმინ. სინოდის ბრძანებით, კურიაჟსკის მონასტრიდან გადამიყვანეს სანაქსარის უდაბნოში ადვილად მიჰხვდებოდა ყველა, რომ ჩემ გადაყვანას სანაქსარის უდაბნოში ჰქონდა ხასიათი სასტიკ სასჯელისა. არაფერი არ ვიცი, ვიყავი თუ არა გასამართლებული. მაგრამ ყოველს სასამართლოში ბრალდებულმა იცის, რა ბრალსა სდებენ და რისთვის ასამართლებენ. ჩემთვის ამ შემთხვევაში ეს კანონი დაირღვა. მე მოვიხადე სასჯელი და დღემდე არ ვიცი, ან ვინ არიან ჩემი ბრალმდებელნი ან რაში მდებენ ბრალს. მაშინ როდესაც „კანონი არა სჯის არავის, თუ ჯერ არ განიკითხავს მას“. ამიტომ უმორჩილესად ვთხოვ თქვენს უწმიდესობას, ნება დამრთოთ გავიცნო ის მიწერ-მოწერა, რომელიც შემეხება მე და აგრეთვე გავიცნო მოხსენება უწმ. სინოდის ობერ-პროკურორის დირექტორის ბ-ნ იაცკევიჩისა ჩემს შესახებ“.

✦ **ანგარიშების დამზადება.** წ.-კ. საზოგადოების მთავარმა გამგეობამ მოაგონა საზოგადოების განყოფილებებს, დააჩქარონ მთავარ გამგეობაში განყოფილებათა მოქმედების ანგარიშების გამოგზავნა.

✦ **დაპატიმრება.** დეპეშათა სააგენტოს სიტყვით, ბაქოში დაუპატიმრებიათ ოთხი კაცი. ჰბრალდებათ სოფელ დოვრუშტში ვაჭრის გაცარცვა და მისი ცოლის და მოყვარის მოკვლა.

✦ **ბიბლიოგრაფიული მაჩვენებელი.** მოსკოვში გამოსაცემად მზადდება ა. პ. ჩეხოვის თხზულებათა ბიბლიოგრაფიული მაჩვენებელი. გამომცემლებს არ მოეპოებათ ან. ჩეხოვის თხზულებათა თარგმანები ქართულ ენაზე, ამიტომ გამომცემელნი სთხოვენ ქართველ საზოგადოებას, გაუგზავნონ ქართულ ენაზე თარგმანები შემდეგი ადრესით: Москва. Лубянская площадь, контора Гемзель.

✦ **ნ. გვარაძის და ს. ივანიძის ბენეფისი.** ხვალ, 27 თებერვალს, ქართულ თეატრში ბენეფისია ჩვენი დასის ახალგაზდა მსახიობებისა ნ. გვარაძის და ს. ივანიძისა. წარმოადგენენ ლ. ანდრეევის ცნობილ პიესას „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“. მონაწილეობას იღებს მთელი დასი და, სხვათა შორის, ვლ. ალექსი-მესხიშვილი.

### ქ უ თ ა ი ს ი

✦ **ექსპორტერების შუამდგომლობა არ შეიწყნარეს.** ესრედ წოდებულ ექსპორტერებს შავის ქვისას იმედები არ გაუმართლდათ, თუმცა ისეთი გამოცდილი კაცი ხელმძღვანელობდა მათ, როგორიც ფოთის ქალაქის თავია. როგორც მკითხველსაც მოეხსენება, მათ განზრახვა ჰქონდათ, შავი ქვის მრეწველებს გამოჰყოფოდენ და ცალკე გადასახადი დაეწესებინათ თავიანთ საჭიროების დასაკმაყოფილებლად. ასეთ განზრახვის აზრი ცხადი იყო: ამ გამოყოფით ბევრი დააკლდებოდა არსებულ მრეწველთა საბჭოს. ამით-კი დიდ უსიამოვნობას მიაყენებდნენ შავი ქვის მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარეს, რომელიც ყოველ შემთხვევით სარგებლობს, რომ ამ ექსპორტერებს ამხილოს მათი უგვანი და მრეწველობისათვის მავნებელი საქციელი. მაგრამ ანგარიშში მოსტყუვდნენ. პეტერბურგიდან ამბავი მოვიდა, რომ ექსპორტერების შუამდგომლობა მთავრობამ არ შეიწყნარაო.

✦ **ექსპორტერების ოინები.** რაკი ექსპორტერებზე ჩამოვაგდეთ სიტყვა, ურიგო არ იქნება აღვნიშნოთ ის გარემოებაც, რომ ეს ვაჟბატონები, რომელთა უმრავლესობას ბერძნები შეადგენენ, უსინდისოდ ჰყვლეფავენ ადგილობრივ მრეწველებს, თუმცა თავი ისე მოაქვთ, რომ უჩვენოთ მრეწველობა დაიღუპება და ერთი გემი მადანი ვერ გაიგზავნება ევროპაშიო. ამ გვარის ტრაბახით ყურები გვქონდა გამოჭედილი, როცა ბ-ნ ზდანოვიჩის წინადადებით მრეწველთა საბჭო შეეკითხა მრეწველებს, რამდენად პირიანად იქცევიან ექსპორტერები ანგარიშების გასწორების დროს და თქვენ ფულს ხომ არ იყოლიებენო. საბჭოს მოსვლია მრავალი ცნობა რაიცა ნათელ ჰყოფს, რომ ყოფილ და ეხლანდელ ექსპორტერებს დიდძალი ფული მიუთვისებიათ ადგილობრივ მრეწველობისა და მერე გასდგომიან თავიანთ გზას. ამ გვარ ექსპორტერებად დასახელებულნი არიან ცნობილი ავგერინო, მანოლოპული, კომილიადისი და სხვ. მრეწველთა საბჭო, ეჭვი არ არის, გამოაქვეყნებს ამ ცნობებს და მაშინ გამოჩნდება მართლა ჩვენი მხსნელნი არიან ექსპორტერები თუ დამღუპველნი.

# მოწერილი ამბავი

**ხარაგაული** (ბელაგორი). 21 თებერვალს, ადგილობრივ ბოქაულის თანადასწრებით, აქ მოხდა კრება სამკითხველოს დაარსების შესახებ. კრებას დაესწრნენ აქაური მასწავლებელნი და საზოგადოების 15 წევრნი. თავმჯდომარემ ბოქაულმა ალექსი გაგუამ გააცნო დამსწრეთ კრების მიზანი და უსურვა, რომ ამ სიმპატიურ საქმისათვის ყველას დახმარება და თანაგრძნობა გაეწია. პირველად განიხილეს ის, თუ რა დაჯდებოდა ამ პირველ წელს სამკითხველოს შენახვა. იანგარიშეს და სამკითხველოს სხვა და სხვა ხარჯი სამას მანეთამდე ავიდა. შემდეგ შეუდგნენ იმის გამორკვევას, თუ ამ თავით რამდენი წევრის შეძენა შეიძლებოდა. გარაუდით ორმოცამდე წევრი აღმოჩნდა. ხანგრძლივი კამათი გამოიწვია იმან, რომ ეს ნავარაუდევი ორმოცი წევრი გახდება თუ არა მუდმივი წევრი სამკითხველოსი და რომ გახდეს შეეძლება თუ არა სამკითხველოს შენახვა, რომ სხვა წევრები ვერ ვიშოვნოთო, ზოგი შესაძლებლად სცნობდა, ზოგი შეუძლებლად და ზოგმა ისიც დასძინა, რომ ეს მუდმივ წევრსაც ვერ ვიშოვნითო.

შემდეგ სათითაოდ შეეკითხნენ დამსწრეებს, თუ ვინ იკისრებს წევრობას. სამინისტრო სკოლის მასწავლებლებმა გასილ დორთქითანიძემ უარი სთქვა წევრობაზე. მას სხვებმაც დაუჭირეს მხარი, ასე რომ უარის მთქმელი მეტი აღმოჩნდა მსურველზე და ამის გამო კრება გადაიდო 28 თებერვლისათვის.

მცირედი შენიშვნა: კრებაზე უმეტეს ნაწილად რუსული ლაპარაკი იყო, როდესაც ნახევარზე მეტს რუსული არ ესმოდა. ერთ პატივცემულ მანდილოსანს კინაღამ სკამზე ჩაეძინა.

ამას წინად აქაურ სამინისტრო სკოლაში რევიზია მოახდინა ქუთაისის სახალხო სკოლების ინსპექტორმა სულაკოვმა. საერთოდ იგი კმაყოფილი დარჩენილა, მხოლოდ პირველ განყოფილებაში დაუვალებია მასწავლებლისთვის, რომ რუსულ წერა-კითხვას ეხლავე შეუდგეს. აქამდის მე-81 წლის გეგმით სწარმოებდა აქ სწავლა. ქალთა სამინისტრო სკოლაში უკვე კარგა ხანია ძველი პროგრამით სწარმოებს სწავლა. ინსპექტორს ძალიან მოსწონებია სამინისტრო სკოლის შენობა, რომელიც, როგორც მკითხველებმა უწყიან, ეხლა შენდება.

ქალთა სკოლის შენობაც რეაქციის მსხვერპლი გახდა. მას აქეთ სწავლა ნაქირავებ შენობაშია. ეხლა მთავრობა 700 მან. დახმარება აღმოუჩინა შენობის ასაგებად და სახლი უკვე იყიდეს. სამინისტრო სკოლის შენობა იმ გეგმით კეთდება, რომ სამოქალაქო სკოლაც მოთავსდება შიგ. როცა შენობა დასრულდება, აქაურ საზოგადოებას აზრადა აქვს შუამდგომლობა აღძრას სამოქალაქო სკოლის დაარსებაზე. იმედოვნებენ, რომ ნებართვას უსათუოდ მიიღებენ. ასე რომ მოკლე დროში ბელაგორს ექნება: სამოქალაქო სკოლა, ორი ორ-კლასიანი სასწავლებელი, ერთი ქალთა სასწავლებელი, რომლის ორ კლასიანად გადაკეთებაც განზრახულია, სასამართლო, ფოსტა, საავადმყოფო და სხვა. თუმცა ბელაგორი დედამიწასთან გასწორა რეაქციამ, მაგრამ მაინც წინ სვლა ეტყობა.

**რისხვა.**

---

**ცხინვალი.** 19 თებერვალს, ბ-ნ ილია მაჭავარიანის მოწვევით გაიმართა კრება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების განყოფილების გასახსნელად. იქონიეს თათბირი და შემდეგ თავმჯდომარედ აირჩიეს ილ. მაჭავარიანი. წევრები უკვე ჩაეწერნენ. ზოგმა წარადგინა საწევრო ფული, ზოგნი კი იმ აზრისანი იყვნენ, რომ ფული მაშინ წარვადგინოთ, როდესაც ამ ჩვენ თხოვნას დაამტკიცებენ და განყოფილებას გაგვიხსნიანო. ჯერ-ჯერობით სიამოვნებით ეგებებიან ამ სიმპატიურ საქმეს, შემდეგ არ ვიცით, რა იქნება. ცხინვალელებს ჩვეულებად აქვთ ყოველ ახალს ადტაცებით მოჰკიდონ ხელი. პირველ ხანებში საქმის გაკეთების სურვილიც აქვთ, რადგან სიცოცხლე და გამჭრიახობა ეტყობათ, მაგრამ ყოველივე ეს დიდხანს არ გასტანს ხოლმე. გაივლის მცირე დრო და თითქოს არაფერი ყოფილიყოს—მიივიწყებენ ყველაფერს, მეტი ბარგივით ზურგიდან იცილებენ საზოგადო საქმეს.

საკმარისია გაიხსენოს მკითხველმა ცხინვალის მრავალ ტანჯულ სამკითხველოს ისტორია. გაიხსნა, დაიკეტა. კიდევ განახლდა და კიდევ დაიკეტა პატარა ხნის შემდეგ. ერთ-დროს ხალხი ეტანებოდა, სარგებლობდა წიგნებით, გაზეთებით. შემდეგ როდესაც ბანქოს სათამაშო ოთახად გადაიქცა „გონების სალარო“, ხალხმაც ზურგი აქცია.

1909 წელს კვლავ გაიღო ბიბლიოთეკის კარები. წიგნები ზოგი ოთხვეხა თავგს შეეჭამა, ზოგიც ორფეხას მიესაკუთრებინა. არ იყო სალარი, საქმის გულშემატკივართ გული მალე გაუციდათ და ბიბლიოთეკაც დაიკეტა. ეხლა კიდევ მოახერხეს გახსნა.

თეატრიც მიტოვებულია. იმდენი ფული დაიხარჯა და ეხლა უპატრონოდ არის, ვეღარ მოუხერხებიათ, რომ დაამთავრონ. რაც აშენებულია, ისიც დაინგრევა და მთელი ის ფული და შრომა დაიკარგება. ვისურვებთ, რომ ეს ლდე არ დაადგეს წ. კ. საზოგადოების განყოფილებამ. საჭიროა, სათავეში მოჰყვნენ მხნე და შრომის მოყვარე კაცები. სამკალი დიდი ექნება წ.-კ. საზოგადოების ცხინვალის განყოფილებას.

**დგვრიხელი.**

---

# სკოლა და სიმღერა

საზოგადოებაში თუ ამხანაგ-მეგობართა წრეში, როცა სიმღერა-გალობაზე ჩამოაგდებენ ხოლმე ლაპარაკს, მუდამ გულისხმობენ, რომ ჰანგს ან მომღერლის ხმას სამი ვითარება აქვს და ერთი თვისება. სჯა-ბაასიდან ყოველთვის დარწმუნდებით, რომ ამ ვითარებათა ქვეშე გულისხმობენ ხმის სიმაღლეს, ძლიერებას და ტემბრს. სიმღერა-საგალობლის კილოს თვისებაც ყველასაგან შემჩნეული და ცნობილია, მაგრამ როცა იკვლევენ იმას, თუ რა გზით, ან როგორ მოქმედებს ჰანგი, ან მომღერლის აღმოთქმა ადამიანის არსებაზე,—აი, ამ კითხვას კი ძალიან ნაკლებად აქვს ჩვენი ყურადღება მიქცეული.

სანამ ამ კითხვას რამე მხრიდან მოუვლიდეთ და ხელს მოვკიდებდეთ მისს აღმოსაცნობ გასაღებს, ურიგო არ იქნება განვამტკიცოთ ცნობის მოყვარეობა იმ საკითხშიაც, თუ რა არის შინაარსი სიმღერისა, ანუ ჰანგისა. ამ კითხვაზე ერთი პასუხი შეიძლება ითქვას: შინაარსი ჰანგისა სფერაა კაცის გრძნობათა. იმ წამს, რა წამსაც ღელავდა ჩვენი არსება იმ გრძნობით, ვიმღერეთ და, ამნაირად, ღელვათა დრო-ჟამი მელოდიით აღვნიშნეთ. მაშასადამე, მელოდია აღმნიშნავია კაცის გრძნობების ვითარებათა განცდისა, იგი მეტყველი ენაა ჩვენი გრძნობების დაუდგრომელობისა, ანუ მისი შინაარსი მომენტებია ადამიანის გრძნობა-მოძრაობის დაუსრულებელ განცდათა. არა მემუსიკეთათვის სიტყვა **მელოდია** რომ გაუგებარი არ დარჩეს, ისიც უნდა აღვნიშნოთ, თუ რას ჰგულისხმობენ ამ სიტყვით მუსიკის ხელოვნებაში: დრო-ჟამის ხანგრძლივობაში ხმის ბგერათა ნაცვალგარდობას ეწოდება მელოდია. მიაქცევდით აგრეთვე ყურადღებას, რომ ხმათა ნაცვალგარდობა ზოგგან დაბალია, ზოგგან მაღალი. ხოლო ეს იმისი ნიშანია, რომ სულიერი მდგომარეობა ადამიანისა, რაოდენ გრძნობა აღელვებულიც იყო სხვა და სხვა მომენტებში, ისე ხმა შეკიდებითაც გამოითქვა იგი მომენტი მელოდიის სახით. მივაქცევ აგრეთვე მკითხველის ყურადღებას იმ გარემოებას, რომ მელოდიაში დრო-ჟამია, ანუ რითმია წყარო სიცოცხლისა და მხოლოდ ცვალებადი ამ სამუსიკო ელემენტებსა დრო-ჟამის მსვლელობაში წარმოადგენს ამა ხელოვნების ქმნილებას. წარმოადგენს ძლიერ ის მომენტი, როცა ადამიანი რაიმე განიცდიდეს. რას წარმოადგენს კაცის ცხოვრება, თუ არა დაუსრულებელ ცვლილებას მის გრძნობათა ვითარებისას, ანუ ასე რომ ვსთქვათ, მის „მე“-სას დრო-ჟამის მსვლელობაში. ერთის მხრით მელოდია—გამოხატულობაა ჩვენ გრძნობათა მდგომარეობისა დრო-ჟამის სხვა-და-სხვა მომენტში, მელოდია—ენაა ჩვენთა გრძნობათა ემოციისა; მეორეს მხრივ დაუდგომელ-დაუსრულებელი ცვალებადობაა ჩვენი „მე“-სი, ან იმავე გრძნობათა ემოციებისა,—აი, სწორედ ამ დამხარდამხარებასა და პარალელიზმშია დაფარული უღრმესი და უუძირითადესი კავშირი ხალხის სიმღერა-გალობასა და იმის ცხოვრების შორის. რამდენადაც ცვალებადია კაცის გრძნობათა მდგომარეობა, იმდენად იცვლება ხანგრძლივობა ცალკე ხმა საბგერო ელემენტებისა და მათი ჯგუფკრებულისა, — აი, ამ მოვლენას სიმღერაში აღნიშნავენ რითმით. ამ ნაირად მელოდია, ანუ გამოხატულება ადამიანის გრძნობათა მდგომარეობის განცდისა და რითმი—ცვალებადობა საბგერო ელემენტებისა და მათი ჯგუფ-კრებულებისა ხანგრძლივობაში შეძლებას გვაძლევს გავითვალისწინოთ, რაოდენადმე მაინც, სულიერი მდგომარეობა მომღერლისა ან მოლაპარაკის.

მაგრამ სიმთა-ჟღერა თავის ზედგავლენის პროცესსისათვის სხვა მოკავშირესაც პოულობს. ეს მოკავშირე მეტად ძლიერი, ყველასაგან ნაცნობი და უუძველესი თანამავალია კაცის სიცოცხლესთან ერთად. მან პირველმა დაიწყო ადამიანთან ცხოვრება; ამ მოკავშირედ უნდა ჩაითვალოს სიტყვიერი თქმა ან თქმულება ხალხისა. აი, აქ ორკეცდება მოქმედება და ზედ-გავლენა სიმღერა-გალობისა: ხმა მეტყველებისა და მელოდია შეერთებულნი შთაბეჭდილნი ჩვენ გულისყურსა და ცნობიერებაში, უერთდებიან ერთმანეთს იქ ადამიანის არსების საიდუმლო სიღრმეში და აიძულებენ სამოქმედოდ იმ ელემენტებს, რომლებიც გარდაჰქმნიან ხოლმე მეტყველების ხმებს სურათებად და დასევადებულ — მოქარგულ სახებად; აიძულებენ სამოქმედოდ აგრეთვე ჩვენი არსების იმ ელემენტებს, რომლებიც შინაარსითა და სულის ვითარებათა ცვალებადობით მათი მონათესავეა და რომელთაც ვითვისებთ ჩვენ გარე სმენით, ვითა ხმებს სიმღერისას, ამ მეტყველების თანამგზავრისას და თანამავლისას. ასე განვიმარტავთ და წარმოვიდგენთ იმ დიად კავშირს, რომელიც არსებობს ხალხის სიმღერასა და იმის ცხოვრების შორის.

ახლა ავიღოთ სულ სხვა ნიადაგზე წარმოშობილი ყრმა და წარმოვიდგინოთ, რომ მას ათვისებინებენ იმისთანა ჰანგებს, რომელთა ხმა-ჟღერათა ნაცვალ-გარდობა, ე. ი. მელოდია—ენა გრძნობათა, ხანგრძლივობა საბგერო ელემენტებისა და მათი ჯგუფ-კრებულობა არ შეეგუება იმის არსების „მე“-ს. მაშ ეს მოვლენა ისეთივე ვერაგული არ იქნება ყრმისათვის და შემდეგ მთელ ერისთვისაც, როგორათაც ენის აღკრძალვა, რჯულის გამოცვლა და სხვა?

უეჭველად! რა შეირყევა ყრმის გრძნობათა ემოციის ნიადაგი, ადვილდება იმისთვის ენის დაკარგვაც, რჯულისა და ადათის გამოცვლაც, სამშობლოს გაყიდვა-ღალატიც, ერისა და წარსულის შელახვა-შეგინებაც. აქ ისე ვერაგულად გეპარება მტერი და ისე შეუმჩნევლად გდებს ფეხს წასაჩეხად, რომ ვერ იგებ და, პირ-იქით, გინდა იმის ხელიდან მოწვდილი შარბათი ძირამდის დაშრიტო, გარნა ამ შარბათში ყრმის გადაგვარებისა და სხვა ნიადაგზე გადაწიდენის მეტი არა იფარება-რა; არცა რამ, სხვა იდეას ემსახურება. აი, რათა გვგონია, რომ ამისთანა პოლიტიკის გატარებას ყრმათა აღზრდაში უუმავნებელესი და შემაძრწუნებელი შედეგი შეტანა შეუძლიან ჩვენისთანა დავრდომილ ხალხის ცხოვრებაში. ძველთა დროთაგანვე თანამორბედი, თანაშემწე და ნუგეშის მცემელი, ყოველ დროსა და ჟამს ერის ცხოვრებაში ხელის აღმპყრობი სიმღერა-ჰანგი შორდება ყრმას და რჩება მხოლოდ გამოფიტული გული—გრძნობა ყოველივე მშობლიურისადმი. ამის შემდეგ გასაოცებლად არავისაც აღარ უნდა მიაჩნდეს ის უზომო სურვილი აწ განსვენებულის კავკასიის სამოსწავლო ოლქის

---

მოახსენეს მეფეს. დაეთანხმა მეფე, და დაითხოვეს დარაჯი. უყურებენ, თუ რას იზავს პატიმარი. ხედავენ: სადილობის დროს გამოვიდა საპყრობილიდან პატიმარი და დაუწყო დარაჯს ძებნა. რაკი დარაჯი ვერსადა ნახა, თითონვე წავიდა მეფის სამზარეულოში თავისთვის სადილის მოსატანად. აიღო, რაც მისცეს, დაბრუნდა უკან, ჩაიკეტა კარი და მოუჯდა სადილს. მეორე-მესამე დღესაც ასე მოიქცა. დადიოდა მეფის სამზარეულოში, მიჰქონდა თავისთვის სადილი და გაქცევით კი არსად მირბოდა.

რა უყონ?

— უნდა პირდაპირ ვუთხრათ, რომ იგი ჩვენთვის საჭირო არ არის და წავიდეს, სადაც უნდა, მოგვშორდეს თავიდან!

მოიხმო ტუსაღი იუსტიციის მინისტრმა და უთხრა:

— რატომ არსად მიდიხართ? დარაჯი აღარა გდარაჯობთ და შეგიძლიანთ თავისუფლად წახვიდეთ, სადაც გინდათ. არც მეფეს ეწყინება ეს ამბავი.

— მართალია, მეფეს არ ეწყინება, მაგრამ მე ვერსად წავალ—სთქვა პატიმარმა: — სად წავიდე? თქვენ თქვენის განაჩენით ყული გამომჭერით, ეხლა მე აღარავინ მიმიღებს, ყველაფერში გამიფუჭდა საქმე. თქვენ,—განაგრძო პატიმარმა:—მე უწესოდ მომეპყარით, აგრე არ ვარგა. ვსთქვათ, მომისაჯეთ სიკვდილით დასჯა. კარგი და პატიოსანი, უნდა ამდგარიყავით და დაგესაჯეთ კიდეც, მაგრამ არ დამსაჯეთ. ეს ერთი. არც მე აგიხირდით მაშინ. შემდეგ მომისაჯეთ სამუდამო საპყრობილე, მომიჩინეთ დარაჯი, რომ საჭმელ-სასმელი ეზიდნა. მერე წამართვით დარაჯი ეს მეორე. არც ამაზე აგიხირდით. ეხლა მე თითონ დავდივარ საჭმლის მოსატანად. თქვენ-კი მეუბნებით: „წადიო“. არა, თქვენ როგორც გნებავთ და მეკი აქედან წამსვლელი არა ვარ.

რა უყონ? კვლავ დაიწყეს თათბირი.

— არსად არ მიდის, — ფიქრობდნენ მინისტრები: — პენსია უნდა დავუნიშნოთ. უიმისოდ თავიდან ვერ მოვიშორებთ! — მოახსენეს მეფეს.

— მეტი გზა არ არის, — სთქვა მეფემ: — უნდა როგორმე მოვიშოროთ თავიდან.

დაუნიშნეს პენსიად ექვსასი ფრანკი.

— თუ მომცემთ წესიერად თავისს დროზე, მაშინ წავალ, — სთქვა პატიმარმა.

ასე გადასწყდა საქმე. პატიმარმა მიიღო წინდაწინ ფული და გამოეთხოვა ყველას. მეფის სამფლობელოდან, რკინის გზით თხუთმეტი წუთის სავალზე დასახლდა. იყიდა პატარა ნაჭერი მიწა, გააშენა ბაღი, ბოსტანი და სცხოვრობს თავისთვის. თავისს დროზე მიდის პენსიის მისაღებად. მიღების შემდეგ შედის სათამაშო სახლში, ორ-სამ ფრანკს ითამაშებს; ხან იგებს, აგებს და შემდეგ ბრუნდება სახლში. ასე ატარებს თავის ცხოვრებას ეს კაცი.

კარგია, რომ ამ კაცმა იქ არ ჩაიდინა დანაშაული, სადაც არა ჰზოგავენ ხარჯს არც ციხისა და არც ადამიანის თავის მოკვეთისთვის!

**ნიკო ასლამაზიშვილი.**

მზრუნველის იანოვსკისა, რომელიც მეტად გულმოდგინედ დეეძებდა რუსულ სიმღერების, ხოლო ქართულად სიტყვებ მოწერილ კრებულის შემდგენელს სახალხო სკოლებში ყრმათათვის, უფრო კი ამ სასწავლებლებში გამგეთა სახელმძღვანელოთ. აი, რათ აღუთქვამდა იგი ამისთანა კრებულის შემდგენელს ყოველგვარ დახმარებას: ხარჯის დაფარვას სამზრუნველოს თანხიდან და კავკასიის საერო თუ სამრევლო სკოლებში მის გავრცელებას.

აი, რათ არის სამწუხარო და ჩამაფიქრებელი ის ცნობა, რომელიც ამას წინად გაზ. „დროების“ მე-7 ნომერში ამოვიკითხეთ. გაზეთი სწერდა:

სადამოზე „განათლების“ სკოლის მოწაფეთა გარდა ბევრი სხვა მოწაფე ბავშვი იყო. ალბად ეს თუ უშლიდა ხელს, რომ ქართულად მწყობრად ვერ იმღერეს. ხმები ვერ შეეწყოთ. ეს საჭირო კი იყო. ამ საღამომ დამსწრეთ აღუძრა ბევრი სასიამოვნო გრძნობა, ბევრიც მწარე. ოჯახი ტფილისში სამშობლო ნიადაგს გასცილებია. ქართულ სიმღერების ნაცვლად უცხოურს ასწავლიან ბავშვებს და ამასთან რა სიმღერებს... სკოლამ უნდა იზრუნოს, ქართული სიმღერები შეასწავლოს ბავშვებს. „განათლების“ საზოგადოებას რჩეულ მოწაფეთაგან ჰყავს ხორო შემდგარი. ეს ხორო ქართულ სიმღერებსაც მღეროდა საკმაოდ კარგად, მაგრამ საჭიროა სკოლაში საყოველთაოდ ყველა ბავშვებს ასწავლიდნენ ქართულ გალობასა და სიმღერას.

ყველა ზემორე ნათქვამის შემდეგ მეტად მიგვაჩნია აღნიშვნა იმის, თუ რა მხატვრულად აღაგზნებს და ჰბადავს ჩვენ არსებაში სიმღერა-გალობა წარმოდგენათ სურათებს, თუ როგორ შესისხლ-ხორცებულია ჩვენ სულიერ ცხოვრებასთან და ფსიხიკასთან ამ გზით დაბადებული სურათები. ვიტყვით მხოლოდ, რომ სიმღერა-გალობას, როგორც ხელოვნების ერთ-ერთ დარგს,—ღონისძიებას სოციალურის ურთი-ერთობისას,—რომლის მოქმედების სფერაც ისე უახლოვდება ადამიანის სულის ძვრათა სამფლობელოს, ესე იგი, იმ სამფლობელოს, სადაც პირველად ჩნდება და ისახება სიმპატია და ანტიპატია, უფრო მეტი და განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს კაცთა საზოგადოების სხვა და სხვა გვარ და ტომობრივ განსხვავებულ ერთმანეთობის და კავშირის დასამკვიდრებლად და განსამტკიცებლად, თანაგრძნობისა და სიყვარულის გამოსაწვევად, ვიდრე დღეს აკუთვნებენ და აქვს მიჩნეული მას.

პირადად მე გასაკვირველადაც მიმაჩნია, რომ დღემდე სიმღერა-გალობას ის საპატიო ადგილი არ უჭირავს, რომელიც სამართლიანად უნდა ჰქონდეს მინიჭებული. გასაკვირველია აგრეთვე, რომ მას ყრმათა აღზრდის საქმეში არა აქვს დათმობილი თავისი კუთვნილი როლი, ხოლო ამ საშუალების უკან დაყენება აღზრდაში ჰბადავს იმას, რომ ათასს და ორი ათასს ფრიად განსწავლულ პირთ იგი უცხო ხილად მიაჩნიათ და ჰია ტყემლადაც არ უღირთ მისი რამე მნიშვნელობა. დღეს საქმე ისეა დაყენებული, რომ ყრმათა აღზრდას და შეგნება-განვითარებას სწორედ ამათთანა განსწავლულნი უდგანან სათავეში. მაშასადამე, ნურც ის გაგვიკვირდება, რომ სიმღერა-გალობის გავლენა მომავალ თაობის გათვითცნობიერებაში ამათთანა განსწავლულებს ან სულ საჭიროდ არ მიაჩნიათ, ან მისი მნიშვნელობა სულ მცირე რამ ჰგონიათ სოციალურ ინსტიქტების განსავითარებლად და განსასპეტაკებლად.

შორს წაგვიყვანს იმ ღონისძიებათა აღნიშვნა სიმღერაში, რაც მას ხელთა აქვს ადამიანის არსებაზე ზედმოქმედებისათვის, და რამოდენად ძლიერია და ფართოდა ჰხვევს ხელს მისი ზედმოქმედება ჩვენი სულის თითოეულ კერძოობას. მოვაგონებთ მხოლოდ თქვენ მიერვე ასჯერ და ათასჯერ ნახულ და შემჩნეულ,—ოჯახში თუ თეატრში,—სიმღერით აღტაცებულთ, აღძრულთ, გრძნობითა ღრმად შეტოკებულთ. ესეც საკმაო მაგალითებია იმისი, თუ რაოდენ შესაძლებელი ყოფილა სიღერის ზედმოქმედებით საემოციო სფერაზე თანაგრძნობის გამოწვევა, იმ თანაგრძნობისა, რომელიც მსმენელს გულს ჰხვდა და იგრძნო ის საგრძნობი და გულ-მოსახვედრი, რასაც მტკიცე კავშირი აქვს თვით წუთი სოფელთან, მის ვნებათა ღელვასთან და მიუნდობელ-დაუდგრომელობასთან.

ზემოთ მოყვანილ ცნობის ავტორის სიტყვებს პატივით გავიმეორებთ ჩვენც: „დღეს თუმცა ტფილისში (ვიტყვით.—საქართველოში) ოჯახის სამშობლო ნიადაგს გასცილებია, ქართულ სიმღერების ნაცვლად ბავშვებს უცხოურს ასწავლიან“ და ამასთან რა სიმღერებს, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ეს შეუგნებლობაა, ხოლო შეუგნებლობა ესე წარმავალია. დავისახოთ გულს იმედი, რომ მოვა დრო, როცა სიმღერა-გალობა შემოვა სახლში თუ სკოლაში არა როგორც საშუალება გართობისა და ქეიფისა რჩეულთა და ბედნიერთათვის ამა ქვეყნისა, არამედ როგორც ფრიად საყურადღებო ელემენტი ყრმათა აღზრდა-გათვითცნობიერებისა და სოციალურ ურთიერთობისა, კაცობრიობის სულიერ გარდაქმნისა და გადახალისებისა. ამისთანა ჟამის მოახლოვებას ხელი უნდა შეუწყოს ყველამ, განურჩევლად წოდების და ხარისხისა, ერმა თუ ბერმა, შინ თუ გარეთ. უნდა ფართოდ გაეღოს ამ სხივს ოჯახისა თუ სასწავლებლის კარი და დაჰგმოს, მოღალატედ ჩასთვალოს ყველა ის, რომელიც აამღვრევს სამშობლოსა და ხალხისადმი განმამტკიცებელს და ადამიანის გრძნობათა განმასპეტაკებელ წმინდა ხალხურ სიმღერა-გალობის ხმათა ჟღერას.

**ი. კარგარეთელი.**

# თეატრი და ხელოვნება

**ვერის სახალხო აუდიტორია**. შაბათს, 27 თებერვალს, ქართულ სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება გუნიას კომედია „ვაის გავეყარე, უის შევეყარე“ და გაიმართება საკონცერტო განყოფილება (გლეხური და იმერული სცენები და სხვა).

**რობაქიძის ლექცია**. როგორც ქუთაისიდან გვატყობინებენ, გრ. რობაქიძის ლექციას ქუთაისში („ფილოსოფია მშვენიერების“) დიდ ძალი საზოგადოება დასწრებია. ლექტორი აღტაცებით მიუღიათ.

**ჩხარი**. 21 თებერვალს სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობამ თავის ქონებრივ საშუალებათა გასაძლიერებლად დრამატიულ საზოგადოების სცენის მოყვარეთა დახმარებით, გაიმართა რუსულ-ქართული წარმოდგენა. რუსულად ითამაშეს ერთ. მოქმ. დრ. გ. გესი „კოცნა პირველი და უკანასკნელი“ და ფარსი „განცხადებით“. ქართულად—„პარიზელი ბიჭი“. დასასრულ დასდგეს ცოცხალი სურათი „განათლების სხივი“, რომელიც წარმოადგენდა თეთრ ტანისამოსში გამოწყობილ ქალს ლამპრით ხელში და მუშების ჯგუფით გარ-შემოხვეულს.

წარმოდგენა თითქმის ღამის ორ საათზე გათავდა. საჭიროა ადრე დაიწყონ ხოლმე წარმოდგენები, რომ თორმეტ საათზე მაინც დასრულდეს. უამისოდ ძლიერ ძნელია წარმოდგენებზე დასწრება ყველასათვის, განსაკუთრებით კი მუშებისათვის, რომელთაც ხშირად დიდი გზა აქვთ გასავლელი და დილით-კი ალიონზე იწყებენ მუშაობას.

**მონაპირე.**

**დ. ჩხარი**. შაბათს, 20 თებერვალს, ადგილობრივ სცენის მოყვარეთა მიერ გამართულ იქნა წარმოდგენა. წარმოადგინეს: „დედა და შვილი“, „ადვოკატი მელაძე“ და „გოგიას ქორწინება“. თუმცა ცუდი ამინდი იყო, ხალხი მაინც ბლომად დაესწრო და წარმოდგენამაც კარგად ჩაიარა. ჩვენდა სასიხარულოდ ახალგაზრდა სცენის მოყვარეთ ნიჭი და ხალისი ეჭყობოდათ. ძრიელ სასიამოვნო იქნებოდა, რომ ამისთანა წარმოდგენები ხშირათ იმართებოდეს დ. ჩხარში.

**დამსწრე.**

**ბენეფისი კონს. მესხისა**. გავახსენებთ მკითხველებს, რომ დღეს ქართულ თეატრში დამსახურებულ და ნიჭიერ მსახიობ კოტე მესხის საბენეფისოდ წარმოდგენილი იქნება ორი პიესა, ორივე ახალი: „ხალხის სიკეთე“ 3 მ. გერცელისა და „სიკვდილი ნაპოლეონისა“, ორსავე პიესაში მობენეფისე შეასრულებს თვალსაჩინო როლს.

# ოსმალეთი

**ოსმალეთის სენატში.**

ოსმალეთის სენატი შეუდგა დეპუტატთა პალატის მიერ შეცვლილ კონსტიტუციის განხილვას. თავდაპირველად სენატმა მოისმინა რეაქციონერ დამად-ფერიდ-ფაშის მოხსენება ოსმალეთის კონსტიტუციის შესახებ. იგი თავის მოხსენებაში უმთავრესად მოითხოვდა შემდეგს: 1. ხალხის უფლება უნდა შეიზღუდოს და ოსმალეთის ხალიფას ისევ უნდა დაუბრუნდეს კონსტიტუციის მიერ შეზღუდული უფლება თვითმპყრობელ, განუსაზღვრელ ხელმწიფობისა. ეს მოთხოვნა ფერიდ-ფაშამ დაასაბუთა რუსეთისა და პრუსიის სამაგალითო კონსტიტუციებით, რომლებმაც ხელი შეუწყეს ამ სახელმწიფოების გაძლიერებასა და განდიდებასა. 2. სენატი უნდა შესდგებოდეს განსაკუთრებით ხალიფის მიერ დანიშნულ წევრებისაგან (ამ ჟამად სენატის წევრთა ორ მესამედს ირჩევს პარლამენტი). 3. ოსმალეთის კონსტიტუცია და სახელმწიფო უნდა დამყარებულ იყოს ოსმალეთის ერისავე ბატონობაზე, რადგან „სხვა ტომის ერები“ დაუძინებელი მტრები არიან ოსმალეთის სახელმწიფოსი.

ფერიდ-ფაშის მოხსენებამ, დაბეჭდილმა სტამბოლის ყველა გაზეთში, ძლიერ აადელვა დაააშფოთა მთელი პრესა, საზოგადოება და პარლამენტი. პრესამ აუარებელ წერილში ერთხმად აღნიშნა და დაჰგმო ფერიდ-ფაშის მოხსენების რეაქციონური ხასიათი. „ერთობისა და პროგრესის“ კომიტეტმა და მის მომხრე დეპუტატებმა პალატაში გადაჭრით და გაბედულად განაცხადეს, რომ თუ სენატი ფერიდ-ფაშის პროექტს დაამტკიცებს, ოსმალეთში ხელახლად დაიწყება დიდი არეულობა წარსულ წლის 31 მარტის მსგავსად. და რომ ამ რეაქციონურ პროექტის წინააღმდეგ კომიტეტი ყოველ ღონეს იღონებსო. ასევე განაცხადეს პარლამენტის სხვა პარტიებმაც.

დეპუტატთა პალატისა, პრესისა და საზოგადოების ძალდატანებით სენატმა ერთხმად უარჰყო ეს რეაქციონური პროექტი, თუმცა ფერიდ-ფაშამ მის დასაცველად ბრწყინვალე სიტყვა წარმოსთქვა და თუმცა ამ პროექტს ბევრი მომხრეც ჰყავდა სენატში: მოხუც სენატორებს შეეშინდათ შეგნებულ და პატიოსან საზოგადოების გულისწყრომისა.

**აბდულ-ჰამიდი.**

გერმანულ გაზ. „კელნიშე ცაიტუნგ“-ს ატყობინებენ სტამბოლიდან, ვითომ ნაფადიშაჰარი აბდულ-ჰამიდი ამ ჟამად სტამბოლში იმყოფებაო. ამბობენ, ოსმალეთის მთავრობამ მას შემდეგ, რაც აბდულ-ჰამიდმა მთელი თავისი ქონება სახელმწიფოს გადასცა, ნება მისცა ნასულთანარს, სადაც ენებოს, იქ იცხოვროსო.

# ბალკანეთის საქმეები

**ოსმალეთის სამხარი მზადება.**

„კასპის“ სტამბოლელი კორესპონდენტი ბ. ადაევი ასწერს ოსმალეთის სამხარ მზადებას: „დარწმუნებით შემიძლიან იმისი თქმა, რომ ოსმალებს აუცილებლად მიაჩნიათ ომი და ამიტომ ისინი შესანიშნავის მედგრობითა და სიდინჯით ემზადებიან საომრად.—ომი უსათუოდ მოხდება ან ბოლგარიასთან ან საბერძნეთთან ან იქნება ორივესთან ერთად, ომი აუცილებელია,—ასე ფიქრობს ეხლა ყოველი ოსმალო და ყოველი ოსმალო დღე და ღამ ემზადება საომრად. სამხედრო და საზღვაო სამინისტროებს მოსვენება არა აქვთ. საზღვაო სამინისტრომ გადასწყვიტა ერთის „დრედნოუტის“ მაგივრად ოთხი ნაღმოსანი იყიდოს და ამისთვის საგანგებო კომისია უკვე წავიდა ევროპაში. მაინც მას აქეთ, რაც საზღვაო მინისტრად ხალილ-ფაშა დანიშნეს, მისი სამინისტრო არაჩვეულებრივ მხნეობას იჩენს. ხალილ-ფაშას ინგლისში აქვს მიღებული სწავლა და დიდ ხანს უმსახურნია ინგლისის ფლოტში. ოსმალეთის გარეშე საქმეთა მინისტრი ეხლა-ღა მეცადინეობს, რომ ომის გამოცხადება ორი-სამი თვით მაინც დაიგვიანოს, ესე იგი იმ დრომდე, როდესაც ნაყიდ ნაღმოსნები ოსმალეთის ზღვაში მოასწრებენ მოსვლას. მათ მოსვლის შემდეგ, ოსმალეთის ფლოტი ძლიერი გახდება საბერძნეთის ფლოტზე...

მეორეს მხრით ოსმალეთის ურთიერთობა ბოლგარიასთან დღე და დღე მწვავდება. ოსმალეთის მთავრობამ განკარგულება მოახდინა, რომ საჩქაროდ შეკრიფონ სათადარიგო ჯარისკაცები და გადასწყვიტა მაკედონიაში ჯარის რიცხვი 600 ათასამდე აიყვანოს. სტამბოლში დაიბარეს ყველა სამხედრო აგენტები. უცხოეთიდან, ყველა კორპუსის უფროსები. ცნობილი მებრძოლი გენერალი ნაზიმ-ფაშა, მეოთხე კორპუსის უფროსი, საჩქაროდ დაიბარეს ბაღდადიდან; დღე და ღამ სამხედრო თათბირებს ახდენენ, ადგენენ პლანებს; მატარებლებს ყოველ დღე მიჰყავდათ ჯარის-კაცები საბერძნეთისა და ბოლგარიის საზღვრისკენ.

ბოლგარიის ელჩი სტამბოლში შეეკითხა ამის თაობაზე სამხედრო მინისტრს შევკეთ-ფაშას: რისთვის ემზადება ასე გაჩქარებით ოსმალეთიო. ყოველთვის მეტად ზრდილობიან გენერალისიმუს ეხლა თავაზიანად მიეღო ელჩი, მაგრამ მის კითხვაზე-კი ძრიელ მკაცრი პასუხი მიეცა: „მგონია, ნება გვაქვს შინ ისე მოვიქცეთ, როგორც გვინდა და ამაზე ანგარიში არავის მივცეთო“. ბოლგარიის ელჩი გაფითრდა თურმე, დაიბნა და ამის თქმა ღა მოახერხა: „მაშ ჩემ მთავრობასაც ეგრე ვაცნობო?—„დიახ, სწორედ ეგრე აცნობეთ თქვენს მთავრობას,“—მიუგო შევკეთ-ფაშამ.

მახმუდ შევკეთ-ფაშამ ამ შემთხვევაში სწორედ გამოსთქვა ოსმალების საერთო აზრი და გრძნობა. ოსმალები მეტის მეტად გაბრაზებულნი, მოთმინებიდან გამოსულნი და დაქანცულნი არიან. მათ უნდათ ერთის დაკვრით ერთბაშად სამუდამოდ მოუღონ ბოლო ასეთს მდგომარეობას. იმავე შევკეთ-ფაშას საყურადღებო სიტყვა ეთქვა ინგლისის ელჩისთვის: „ჩვენ მოვიქანცენით, თქვენო ბრწყინვალებავ. მაკედონიას მხოლოდ მაშინ გაუჩნდება ახალი ბატონი, როცა 22 მილიონი მუსულმანი სულ გასწყდება, სულ თავს დასდებს მაკედონიის მინდვრებში“.

# ბიბლიოგრაფია

Н. Я. МАРРЪ. Яфетическое происхожденіе армянскаго слова Մարգարէ ПРОРОКЪ. Изв. ИМП. Академіи наукъ 1909.

თხზულება, რომლის სათაურიც გადმოვწერე, წარმოადგენს Մարգարէ—სომხური სიტყვის ლინგვისტიკის ისტორიის საინტერესო ამბავს. როგორც ნ. ი. მარრი განმარტებს, **მარგარეს** ძირია სამ ხმიანი მარცვალი **მრგ**, მონათესავე იაფეთური ენებისა, რომელსაც, მისივე თეორიით, ეკუთნის ქართული ენა სვანური და ჭანური კილოებითა. ძირი **მრგ** ამ ენებში ისმის **ბრკ** და **ვრკ** (**მსკ, ვსკ**), რომელთაგანაც ჰსწარმოებს **ბრკიალი** და **ვასკვლავი** (მდ. **მასკვლავი**). ნ. მარრმა განმარტების დროს ხსენებური ძირები შეუფარდა სირიულ, არაბულ და ებრაულ სიტყვებს, ცოტა სხვაფრივ გამოთქმულს, რომელსაც ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც ქართულსა. ამ ძირებისაგან შემდეგში წარმომდგარა სომხური **პერჭ, პაიწარ**, ბრწყინვალე, **პეწპწალ**, ნაპერწკლის სროლა, **მარგ**, ვარსკვლავი და ქართული **ბრჭყვიალი, ბრწყინვა, პეწი, ნაპერწკალი, მემარგე, მეყო, მეხი** და **მურუცხი** (ჭან. ვასკვლავი) ნ. ი. მარრის აზრით **მარგარე** სომხური სიტყვა, რომელიც ქართულად დღეს ნიშნავს წინასწარმეტყველს, ქრისტეს უწინარესი ტერმინია, სადაც დაცულია ვასკვლავის კულტი, ანუ თაყვანისცემა.

შეფარდება **მრგ** სომხური ძირისა **ბრკ** და **ვრკ** ქართულ ძირებთან, აგრეთვე სირიულ, არაბულ და ებრაულ სიტყვებთან და მათ ყველასთან დანათესავება სწორედ მოსწრებულია, მაგრამ ცალმხრივი გვგონია, რათგანაც ხსენებური ძირები წმინდა სემიტური არ არის და ენათესავება იმ დროსვე არიულს, ამ შემთხვევაში, **მლკ** და **მრკ** რუსულ ძირებსა, რომელთაგან ჰსწარმოებს **მელკანიე, მელკატ, მერცანიე, მერკნუტ**.

ეს მცირე შენიშვნა შემოვიტანე იმიტომ, რომ არსებობს მთელი თეორია იტალიელთ გათქმული მეცნიერის და ბოლონის უნივერსიტეტის პროფესორის ტრომბეტისა, რომელიც ამტკიცებს, არიული და სემიტური ენები ჰსწარმოებს ერთის საზოგადო ენისაგანაო.

რაც შეეხება პატივცემული ავტორის მოსაზრებას, ვითომც ვასკვლავის კულტი მოჩანდეს **მარგარე** სომხურ სიტყვაში, გვეძნელება, დავეთანხმოთ, რათგანაც **მარგარეში**, ბერძ. **პროფეტეს**, რუს. **პროროკ**, სომ. **არაქეალ** და ქართული **მოციქულის** არ ივვეს, ჩამარხულია უფრო საგანი მეტყველებისა (**პროფემი, რეკტი, არება, რქუმა** და **ციქვა** ყველა ლაპარაკს მოასწავებს), მისი ძირია **რგ** უფრო არიული, ვიდრე იაფეთური, და მოგვაგონებს ქართულ ძირებს: ა) **რქუ** რისაგანაც არის **რქუმა** (ვარქვ) და **არ**, რისაგანაც ჰსწარმოებს ძველი **არება**, შემდეგ თავსართიანი **ალ-ს-არება** (**ალვიარებ, ალვიარე**); ბ, **რკ** რუსულსა, რომელმაც მიჰსცა დასაწყისი **რეკტი, როკ** და **რეჩ** რუსულ სიტყვებსა; გ) ბერძნულ სიტყვას **ეირო** (ნამყო სრული **ეირეკა**) და დ) ლათინურს **ორო**, ორთავ ლაპარაკის მომასწავებელსა.

მაშასადამე თვითონ სომხური სიტყვა **მარგარე** ნიშნავს **ბრწყინვალეს** კი არა, **მეტყველსა** და გრამატიკულად უფრო მიმღეობითი სახეა, რომელიც მოგვაგონებს **მრქუმელს** (**მრქუმარს, მრქუვარს მრქარსა**), **რქუმისაგან** წარმოებულსა.

თუმცა სომხური **მარგარე** იგივ ქართული **მრქუმარია** ცოტაოდნად სხვაფრივ **მ** ანის ვ-ინად გადაქცევით და შემდგომ **უ**-ნის და ვ-ინის გამოკლებით გამოთქმული, თანახმად ქართული ენის ხმათა ცვლის წესისა, საჭიროდ მიგვაჩნია, ვთქვათ მაინც, რომ **მარგარე** დღეს წმინდა სომხური სიტყვაა ისე, რომ მარტო ლინგვისტი, ისიც ივერისტი, თუ იპოვის შიგ სომხური ენის იაფეთურობის კვალსა.

ასეთი ამბავი რომ ერთად ერთი არ არის სომხურს ენაში, მისი მაგალითი მრავალია.

სომხური **მკრატ** და ქართული **მაკრატელი** ორივე ერთი აზრით იხმარება, მათი ძირია **კრატ**, ანუ **კრეტ**, რომლისაგანაც ჰსწარმოებს **კრეჭა**, ხოლო უბგეროლად არის **კატ**, ანუ კეტ, რომლის მონათესავეა **კვეთ, კვეც კოდ**, ანუ **კუდ**. უკანასკნელი ძირებისაგან ჩვენა გვაქვთ **კვეთა, კვეცა, კოდვა** (დაკოდვა) და **კუდომა** (მოკვდომა). ამათ ენათესავება ლათინური ძირი **კაედ**, რომელიც საფუძველია **კაედერე** სიტყვისა და ნიშნავს **ჭრას, მოკვლასა**.

სომხური **სეპუჰ** და ქართული **ხეფე**, რომელიც ნიშნავს რასმე, ან ვისმე **საბატონოს, ბატონის ბადალს, თვით ბატონსა, ბატონის წულს**, აგრეთვე სომხური სიტყვები **სეპჰაკან**, ან **სეფაკან** ქართულად **საბატონო, საფლობელი, საკუთარი** შეიცავს ძირს **ფ**, განვითარებით **ფალ**, რომელიც არიულ ენებში ნიშნავს **ხელმწიფებას, ბატონობას** და რომლისაგანაც წარმოსდგა:

ა) ქართული **სუფევა, მეფე, ხეფე, სახუფეველი, ფლობა, სოფელი, უფალი, მეუფე, მამ-ფალი, დედ-ფალი**;

ბ) გერმანული **ველტ**, სოფელი, ქვეყანა და გ) რუსული **ვლადეტ, ვლადიკა, ვოლოსტ**.

მაშასადამე სომხური სიტყვები **სეპუჰ** და **სეპჰაკან**, ანუ **სეფაკან**, სხვაფრივ გამოთქმული იგივ **ხეფეა**, რომელიც გრამმატიკულად წარმოადგენს ვნებითი გვარის მიმღეობით სახესა.

საზოგადოდ რო ვთქვათ პრეფიქსაცია, ანუ თავსართიანობა ქართულ სომხურში დიდ როლსა თამაშობს და ძირების განმარტების, თუ შედარების დროს კაცმა უთუოდ ანგარიში უნდა გაუწიოს. აი მაგალითები პრეფიქსაციისა;

1. სომხური ენისა—**არუ-რუ, ატალწ**—**ტყე, ალალკალ**—**ლალდი, ალეტ**—**ლატაკი, ალმუკ** — **ღმუვილი, ალოთელ**—**ლოცვა, ნახანძ**—**ხინჯი, ავან**—**ვანი, ერამ**—**რემა, ოჩხარ** — **ცხვარი ოწელ-წება**.

2. ქართული ენისა — **ქვრივი-აირი, მართალი** — **არდარ, მგელი** - **გაილ, მკახე**—**ხაკ, მეხე** (სომეხი)—**ჰაი, ქმარი**—**მარდ, ყინვა**—**იენელ, ინახი**—**ნახ, ათი**—**ტას, მაგარი**—**ქარ** (ქვა), **მარცხი**—**ცახ, მგოსანი**—**გოს, მიწა**—**ცეხ, მკერდი**—**კურ, მტრედი**—**ტატრაკ, ბრძენი**—**ვრძინ** (ფოჩი).

ქართულ ენას თავსართი მაშინაც უყვარს, როცა სხვა ენასთან რამ ურთიერთობაშია:

მაგ.: **აკვანი**—ლათ. **კუნე, ალაგი**—ლათ. **ლოკუს, ასული**—ლათ. **სოროს, ახალი**—ბერ. **კაინოს** (ხ—კ, ლ—ნ), **მკერდი**—ბერ. **კერ**—ლათ. **კორს, თავლა**—ბერძ. **ავლის, თაკარა**—ბერძ. **ეკია, მაზარა**—ბერძ. **ზეირა, მარტივი, მარტო**—გერმ. **ერსტე** (ერთი), **მელაძუა**—ბერ. **ალაძონ** (ტრაბახა, ცრუ), **მეცადინე**—ბერძ. **კედნოს**, (კ—ც). **მზერა**—რუს. **ზრეტ**, გერმ. **ზეჰენ, მთხვევა**—ბერძ. **თუხე, მინდორი**—თათრ. **დარა**. **მიწა**—ბერძ. **გე**, რუს. **ზემლია**, მკალის—ბერძ. **აკრის, მკვიდრი**—ბერძ. **კედეიოს, მკლავი** ბერძ. **აგკალის, მკობა**—ბერძ. **კოსმოს, მუავე**—თურქ. **აჟი, მტილი**—თურქ. **ტალა, მტვრევა**—ბერძ. **თრაუო, მუხა**, გერმ. **ეიხე. მღერა**—რუს. **იგრატ, მშვილდი**—ბერძ. **ხორდე. მძაფრი**—ბერძ. **ძაფელოს, მძოვრი**—ბერძ. **ძორის, მწვანე**—რუს. **ზელიე** (ლ—ნ), **მჭადი**—ბერძ. **სიტოს, სიტყვა**—ლათ. **დიკო** (ტ—დ, ყ—კ), **უწყება**—ლათ. **სციო, მღვთა** (ღმერთი) **მღვდელი**—სპარს. **ხუდა**. გერმ. **გოტ. უნოსგა**—ლათ. **ნას**, რუს. **ნოს** (ცხვირი), **მშვენიერი**—გერ. **შოენ. რწევა**—გერ. **ციენ** (წევა), **ხალხი**—ბერძ. **ოხლოს**.

უეჭველია, ის არიული ძირები, რომელიც ქართული ძირების ფარდად მოვიტანე, ზოგჯერ სემიტურ ენებშიაც იქმნება და ჩვენი ფიქრით ამასაც უნდა გაუწიოთ ანგარიში. თუ არ დამტკიცდება ის, რომ ქართული ენა უახლოვდება პროტოტიპს, რომლისაგანაც წარმოსდგა არიულ-სემიტიური ენები, ის ხომ ცხადი იქმნება, რომ სომხურ ქართულს ჰკვეთებია არიელთა ტალღა და გადაუგვარებია, მაგრამ იაფეთური ხასიათი ქართულს უფრო შერჩენია, სომხურს კი იმდენად დაჰკარგვია, რომ აქნობამდე წმინდა არიული ენა ეგონათ. ეხლა კი ჩვენმა მეცნიერმა ნ. ი. მარრმა ღრმად გაუშინჯა ბუნება სომხურს ენას და უპოვა იაფეთური ძარღვი, რომელიც ქართულს ენათესავება.

**პეტრე მირიანიშვილი.**


# განცხადებანი

**ექიმი** ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., ბავ. და სიფილ-ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (ნ.—57)

**ძმ. ავსარქისოვების ბაღი**

ჰყიდის სხვა და სხვა ხეხილის ნამყენებს. არის საზღვარ-გარეთის, რუსეთის და ადგილობრივ საუკეთესო ჯიშის ხეხილები.

ადრესი: Ст. Скра, (З. К. Ж. Д.) Авсаркисову. მსურველებს კატალოგები უფასოდ ეგზავნება. (15—1024—10)

**დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია**

7 მ. 25 კ. ორ კოსტიუმს ვგზავნით ფასდადებით. ჩაწყობა და გაგზავნა ჩემი ხარჯით 4½ არშ. მამაკაცის სრულ კოსტიუმისთვის, **ინგლისის შალის ტრიკო** ორ არშინიან განისა, ახალი, მკვიდრი, სადა ან ნახატებიანი და 8 არშ. „ნოვეტე“ ქალის კოსტიუმისთვის მოდის-უჯრედებიანი ან ზოლებიანი.

ვინც ორ წყვილს შემოგვიკვეთავს, იმას უფასოდ ვაძლევთ სარჩულს როგორც კაცის, ისე ქალის კოსტიუმისთვის. სამიშო არაფერია: თუ არ მოგეწონებათ, ფულს სრულად უკანვე მიიღებთ. ფასდადებით გაგზავნისთვის მანეთზე 2 კაპ. ხოლო ციმბირში განსხვავება ზომაში: 2 კოსტიუმში 85 კაპ., 4-ში მან. 25 კაპ. ადრესი: Фирма М. А. Бабушкина. Лодзь. 1-ое отд. д. მიწერ-მოწერა რუსულად. (Мотцль и К. N 11208). (3—ნ.—3)

**ეფრემ ვერდი**
(სურათებით)

იბეჭდება და მალე გამოვა. ვისაც სურს, შეუძლიან მიმართოს მიხეილ ზარიძეს, ანჩისხატის ქუჩა, № 17. თითო წიგნი ღირება 1 მ. 50 კ. ვინც ამ თავით გამოიწერს, დაეთმობა 1 მან. (3—156—3)


სტამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3. რედაქტორ-გამომცემელი ი. ხ. აბლაძე.